პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

20 ნოემბერი, 1939 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

№ 34 (116) ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და საბჭოთა მწერლები

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი მასები განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და აქტივობით ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. უფრო და უფრო ფართოვდება საარჩევნო კამპანია. ერთი თვის შემდეგ, 24 დეკემბერს, საბჭოთა ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეები მესამედ მივლენ საარჩევნო ყუთებთან, რათა გამოხატონ თავიანთი ნება—აირჩიონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში საუკეთესო წარმომადგენლები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ორგანიზაციულად ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზმის ქვეყნის შემდგომი წინსვლისა და წარმატებების საქმეში. ამიტომ სავსებით გასაგებია ის დიდი პასუხისმგებლობა, რომლითაც ბოლშევიკური პარტია, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის.

სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების არჩევნების პერიოდში ჩატარებული საარჩევნო კამპანიის გამოცდილება საკმაოდ დიდია. ეს გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს.

ცნობილია, რომ საბჭოთა ინტელიგენციამ, კერძოდ ერთ-ერთმა მისმა რაზმთაგანმა—მწერლებმა დიდი საგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარეს სსრ კავშირის და საქართველოს უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს. მრავალი მწერალი შედიოდა რესპუბლიკურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში, ეწეოდნენ აგიტაციას სიტყვიერად და ბეჭდვით, უხსნიდნენ მასებს საბჭოთა დემოკრატიზმის არსს, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ძალას, ახდენდნენ დასახელებული დეპუტატობის კანდიდატების პოპულარიზაციას. საბჭოების არჩევნები გადაიქცნენ დიდ პოლიტიკურ სკოლად როგორც ამომრჩევლებისათვის, ისე მისი აქტიური ორგანიზატორებისა და აგიტატორებისათვის.

რადგან ადგილობრივი საბჭოების არჩევნები თავისი მაშტაბით უფრო გრანდიოზულია, ვიდრე წინა არჩევნები, საარჩევნო კამპანიის ყოველმა აქტიურმა მონაწილემ უფრო მეტად უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა.

დიდი ინტერესით შეხვდა მწერალთა საზოგადოებრიობა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის დანიშვნისა და საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ. უკვე გაიშალა წინასაარჩევნო მზადება. საარჩევნო კომისიებში სამუშაოდ გამოყოფილ იქნენ მწერლები: ამხ. დ. შენგელაია, ს. ეული, ა. გომიაშვილი, რ. გვეტაძე, ბ. ჟღენტი, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი, ე. ასტვაცატუროვი, ა. ჭეიშვილი, ს. წვერავა. ნდობით აღჭურვილ პირებად საარჩევნო უბნებში გამოყოფილი იქნენ ამხ. დ. ბენაშვილი და ვ. წულუკიძე. გარდა ამ ამხანაგებისა, საარჩევნო უბნებში აგიტატორებად გამოყოფილია მრავალი საბჭოთა მწერალი.

საქართველოს სს რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში და სოფლებში უკვე დაიწყო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება. მრავალრიცხოვან კრებებზე საბჭოთა ხალხი ადგილობრივ საბჭოებში ერთსულოვნად ასახელებს თავის საუკეთესო შვილებს, რომლებიც განუსაზღვრელად ერთგულნი არიან დიადი სოციალისტური სამშობლოსი.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამომრჩევლებმა წამოაყენეს მოწინავე საბჭოთა მწერლები—ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია, სანდრო ეული.

ასახელებს რა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად თავის წარმომადგენლებს ჩვენი ხალხი გამოდის იმ მაღალი მოთხოვნილებიდან, რომელსაც ხალხი უყენებს თავის დეპუტატს. ეს მოთხოვნილება მთელი თავისი სიზუსტით და სისრულით მოცემულია ამხანაგ **სტალინის** მიერ ქალაქ მოსკოვის **სტალინის** საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში:

„ამომრჩევლებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი... რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი... რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი... რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოვლმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოვლმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი... რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი... რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს...“

ამ ბრძნულ სიტყვებში აღბეჭდილია თავისი ხალხის მსახურის—საბჭოთა დეპუტატის სახე.

მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები უნდა ჩატარდეს მაღალ იდეურ და პოლიტიკურ დონეზე, კომუნისტებისა და უპარტიოების ურყევი სტალინური ბლოკის კიდევ უფრო განმტკიცებისა და შემჭიდროების ნიშნის ქვეშ, ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ნიშნის ქვეშ.

ამ უდიდეს პოლიტიკურ მუშაობაში საპატიო ადგილი უნდა დაიკავონ „სულის ინჟინერებმა“ — საბჭოთა მწერლებმა.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

14 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, მწერალთა სასახლეში (თბილისი **ბერიას** სახელობის რაიონი), დიდი აქტივობით ჩატარებულ იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს წინასაარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრნენ მწერლები და მწერალთა კავშირში შემავალი ორგანიზაციების (გამომცემლობა „ფედერაციის“, ლიტფონდისა და ლიტფონდის საწარმოების) მუშა-მოსამსახურენი.

სიტყვას წინადადებისათვის ღებულობს ორდენოსანი პოეტი ამხ. სიმონ ჩიქოვანი.

წინადადებას ვიძლევი, — ამბობს იგი, — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი ორგანიზაციიდან დასახელებულ იქნას ორდენოსანი პოეტი **ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძე.** იგი არის ერთ-ერთი ჩვენი მოწინავე პოეტი, ნამდვილი პატრიოტი საბჭოთა ქვეყნისა, კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის მიერ აღზრდილი საზოგადო მოღვაწე.

შემდეგ ორდენოსანი მწერალი ამხ. კონსტ. ლორთქიფანიძე, მხარს უჭერს რა ამხ. ს. ჩიქოვანის წინადადებას, ამბობს:

— ამხ. ირაკლი აბაშიძის კანდიდატურას ყოველი ჩვენგანი სიხარულით მიესალმება. ჩვენ მასთან გვაკავშირებს ათი წლის საერთო შემოქმედებითი მუშაობა, ჩვენ მას ვიცნობთ, როგორც ნიჭიერ პოეტს, რომლის შემოქმედება გამსჭვალულია ღრმა იდეურობით, დიდი მოქალაქეობრივი შეგნებით, ღრმა პატრიოტიზმით, პოლიტიკური აქტუალობით. ამხ. ირაკლი აბაშიძე **ლენინ-სტალინის** საქმისათვის თავდადებული მუშაკია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი გაამართლებს ჩვენს ნდობას, იქნება რა მშრომელი ხალხის დეპუტატი თბილისის საბჭოში.

სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა ამხ. კარლო კალაძეს.

— მე ვასახელებ თბილისის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, — ამბობს იგი, — ორდენოსან პოეტს **გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძეს.** გიორგი ლეონიძე არამარტო აქტიური შემოქმედია, არამედ აქტიური საზოგადო მოღვაწეც. იგი განახლებული თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალია. მან სავსებით დაიმსახურა ის, რომ იყოს თბილისის მშრომელთა წარმომადგენლად ქალაქის საბჭოში.

შემდეგ სიტყვას დასახელებული კანდიდატების შესახებ ამბობს ამხანაგი შ. რადიანი.

— ამხ. ირაკლი აბაშიძე კარგა ხანია, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. მან დაიმსახურა მკითხველთა ფართო მასების ყურადღება და სიყვარული. იგი პოეტურის გზნებით ეხმაურება ყველა იმ დიდ მოვლენას, რომელიც საბჭოთა ხალხს აღელვებს. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ირაკლი აბაშიძე ჩვენ ნდობას გაამართლებს. მისასალმებელია მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის აგრეთვე გიორგი ლეონიძის კანდიდატურა. იგი მრავალმხრივი შემოქმედია, ჩვენ ვიცნობთ მას, როგორც ნიჭიერ პოეტს და მკვლევარს. რამდენიმე წელიწადია იგი ხელმძღვანელობს მწერალთა მუზეუმს, რომელიც მისი გულმოდგინე მუშაობით ერთ-ერთ თვალსაჩინო კულტურულ - სამეცნიერო დაწესებულებად გადაიქცა.

დასასრულ, სიტყვით გამოდის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი მწერალი ამხ. შალვა დადიანი.

— იმის კლასიკური განმარტება, თუ როგორი უნდა იყოს დეპუტატი, ხალხისაგან არჩეული მოღვაწე, მოგვცა დიდმა **სტალინმა.** ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ბელადის ამ ბრძნული მითითებით და დეპუტატობის კანდიდატებად შევარჩიოთ ნამდვილად ღირსეული ადამიანები. ჩემს წინ გამოსულმა ამხანაგებმა სწორად დაახასიათეს ამ კრებაზე დასახელებული კანდიდატები. მათ მიერ აქ გამოთქმულ აზრს მეც ვუერთებ ჩემ ხმას.

ორატორთა გამოსვლების დასრულების შემდეგ წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად წამოაყენა თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ი. აბაშიძე და გ. ლეონიძე.

ამავე კრებამ თავის რწმუნებულებად იმ ორ საარჩევნო ოლქში, სადაც დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული არიან ამხ. ი. აბაშიძე და ამხ. გ. ლეონიძე, აირჩია მწერლები ვ. წულუკიძე და დ. ბენაშვილი.

ამხანაგ სტალინის მისალმება

საბრძოლო სალამი I ცხენოსანი არმიის მებრძოლებსა და ხელმძღვანელებს მისი ოცი წლისთავის იუბილეს დღეს!

სალამი ბუდიონის, ვოროშილოვს, კულიკს, ტიმოშენკოს, შჩადენკოს, გოროდოვიკოვს, აპანასენკოს, ტიულენევს, ჩერევიჩენკოს, ერემენკოს და სხვებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ცხენოსან არმიას და მრისხანე ძალად გადააქციეს იგი!

სალამი ცხენოსანი არმიის მებრძოლებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებს, რომლებმაც გაანადგურეს გენერლები — დენიკინი, მამონტოვი, შკურო, ჩესნოკოვი, ვრანგელი და ჟიტომირის რაიონში ისტორიული რეიდის დროს გაანადგურეს პილსუდსკის ჯარები!

სალამი მთელ ჩვენს ცხენოსან არმიას, — მათ შორის — ჩვენს ცხენოსან არმიელებს, — რომელმაც სახელი მოიხვეჭა პოლონელი პანების უღლისაგან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში!

საუკუნო ხსოვნა და დიდება ამხანაგებს — პარხომენკოს, დუნდიჩს, მოროზოვს, ლიტუნოვს, ბახტუროვს და მრავალ სხვა ცხენოსან არმიელს, რომლებმაც თავი დასდეს ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ჩვენი გულწრფელი, მხურვალე, ცხენოსნურ - არმიული სალამი თქვენ, პირველი ცხენოსანი არმიის შექმნის ინიციატორს, მის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, წითელი ცხენოსნების საუკეთესო მეგობარს პირველი ცხენოსანი არმიის სახელოვანი 20 წლისთავის დღეს.

თქვენდამი ღრმა პატივისცემის გრძნობით ვიგონებთ ჩვენ სამოქალაქო ომის სუსხიან, მძიმე წლებს და იმ დღეებს, როდესაც თქვენ, ლენინის ერთგული თანამებრძოლი, წითელი არმიის საუკეთესო მეგობარი, დაუცხრომელი ენერგიით ჰქმნიდით პატარა მებრძოლი რაზმებისაგან მრისხანე ძალას, რევოლუციის მტრებისათვის მრისხანე ძალას — წითელ არმიას და მის სახელოვან პირმშოს — ბრძოლებში სახელმოხვეჭილ პირველ ცხენოსან არმიას. პირველი ცხენოსანი არმიის ყველა გამარჯვება დაკავშირებულია თქვენს სახელთან, ყველა ჩვენგანისათვის ძვირფას სახელთან. წითელ ცხენოსნებს არასოდეს არ დაავიწყდებათ ის დიდი დახმარება და მამობრივი მზრუნველობა, რასაც თქვენ ყოველდღე იჩენდით და იჩენთ მათდამი. თქვენი ნაცადი ხელმძღვანელობით ვსწავლობდით ჩვენ ბოლშევიკურ, სტალინურ ხელოვნებას — გაგვენადგურებინა და მოგვესპო ყველა, ვინც ხელს უშლიდა ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ. თქვენი საბრძოლო გზა, თქვენი ურყევი ნებისყოფა გამარჯვებისა, თქვენი განსაკუთრებული ერთგულება ხალხისადმი გვაფრთოვანებს ჩვენ, რათა ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებები მოვიპოვოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობის საქმეში, მტრებთან ბრძოლის საქმეში.

პირველი ცხენოსანი არმიის 20 წლისთავის დღეს სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ იმპერიალისტურ მტაცებლებთან მომავალ ბრძოლებში თქვენ ჩვენი სახით, ჩვენი წითელი ცხენოსნებისა და მთელი წითელი არმიის სახით ჰპოვებთ საიმედო დასაყრდენს, სოციალისტური სამშობლოს, კომუნიზმის საქმის ერთგულ და უძლეველ დამცველებს.

ტიმოშენკო
ბორისოვი
ზლობინი
ბობკინი
რიაბიშევი
პოპოვი
ბიჩკოვი
კოვალიოვი

კიევი, 17/XI—39 წ.

კოსტა ხეთაგუროვი

ვ. გაფრინდაშვილი

ო, ძმაო კოსტა! როს ვთარგმნიდი შენს ლექსებს ძლიერს,
გულში სხვაგვარად ჩამეწვეთა შენი ცხოვრება.
სევდასთან ერთად ატარებდი ღრმა რწმენის იერს—
„ირონ ფანდირი“ ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრება!

მტკიცედ იპყრობდი ჩაგრულთათვის ყოფას ბედნიერს.
ვერ გაშინებდა სამშობლოსთან ყრუ განშორება.
შენ სიკვდილამდე უმღეროდი მწყურვალს და მშიერს —
იმათ ტკივილებს შენი ლექსი ეამბორება!

გსურდა ბუნებაც მტერს შებმოდა თავის ძალებით—
მკვიდრ მთებს მიმართე გულისხმიერ მწყრალ შეძახილით:
—რატომ არ იწვით ხალხის გლოვით, ხალხის წვალებით!

ჩვენთვის დიდია სხივმოსილი შენი სახელი.
თუ წინად იყავ მტირალი კლდე, რისხვით გმინავდი,
დღეს შენ გაცოცხლდი და ჩვენს გულში მზედ დაბინავდი!

კოსტა ხეთაგუროვს

ხარიტონ პლიევი

ინათლა, დილა შრიალებს,
მზე მწვერვალიდან იალებს,
სხივი წამოვა თქეშივით.
სხივი კამკამა ზვინებად
შენს საფლავს დაეფინება,
საფლავს, შველას რომ შესჩივის.

ხე, მდგარი განმარტოებით,
შენსკენ დახრილა რტოებით
წარსულის სუსხით ნაცივი.
ჯერ კიდევ გუშინ არ იყო, —
როს შენი ხალხი მკვდარ იყო,
ეს ხე სტიროდა კაცივით?

დღეს კი წინ წასდგა ნაბიჯი,
ლაღად გაშალა მხარბეჭი,
მკლავი ამართა აფრებად,
ტოტები ფეხზე დგებიან,
ფოთლები იღიმებიან,
თითქოს ლამობენ გაფრენას!

კოსტა! ხომ ხედავ, ინათა,
წინად კი ხალხი გმინავდა,
ქარი ღმუოდა ნავარი.
ღარიბ-ღატაკთა გოდება
გულს გაცვიოდა ლოდებად...
როგორ არ შესძარ სამარე?

როს შენი ხალხი იწოდა,
როგორ არ შესძარ მიწა და
არ წამოდექი ქარიშხლად?...
...დღეს შენს საფლავთან შორიდან
შენი შემცვლელი მოვიდა,
ის ვინც შესცინის გარიჟრაჟს.

ცივ და ნესტიან ბინაზე
მსურს იგრძნო ჩემი სინაზე,
მსურს სევდას თავი არიდო,
ისმინო ჰანგი მზიანი,
ლაღი და ომახიანი,
რომ გიმღერს შვილი—ხარიტონ!

თუ—აღარ გესმის შვილის ხმა,
დაგძლია ღამის თილისმამ,
საღათას ძილი გეწვია?
თუ დატანჯული, ნაურვი
გულმხეც გენერლებს გაურბი
და გულში ეკვრი ბნელ წიაღს?

ო, კოსტა, ვერ გრძნობ სრულიად,
ირგვლივ რა სიხარულია,
რა სიმგა ქარიშხლოვანი?
კოსტა- დაუსხლტი უკუნეთს
და შენს ხალხს დაუგუგუნე
სიმღერა მაღალხმოვანი!

ინათლა, დილა შრიალებს,
მზე მწვერვალებზე იალებს,
მზე საბჭოეთის, სვიანი.
— ოსეთის სიტყვის მედროშევ,
როგორ დასჭექდა ჩვენს დროში
შენი ხმა ომახიანი!

თარგმნა **მარიკა მიქელაძემ**

ოსი ხალხის დიდი პოეტი

კოსტა ხეთაგუროვი

(დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულების გამო)

კოსტა ხეთაგუროვი ოსური სამწერლო ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელია. მან თავისი შემოქმედებით საფუძველი ჩაუყარა ოსური ენისა და ლიტერატურის განვითარებას — იგი დაიბადა 1859 წლის 16 ოქტომბერს ოსეთში, აულ ნარში.

ხანა, რომელშიაც მოუხდა ცხოვრება კოსტა ხეთაგუროვს, მეტად მძიმე იყო მშრომელი ხალხისათვის. პატარა კოსტაც ბავშვობიდანვე აუტანელ გაჭირვებაში იზრდებოდა. მან თავისი ბავშვობა მწყემსობაში გაატარა. მან კარგად გაიცნო და შეისწავლა მშრომელი ხალხის მძიმე და აუტანელი ცხოვრება.

დედით ადრე დაობლებულ კოსტას ცხოვრება საშინელი იყო, იგი ხშირად განიცდიდა დამცირებას და შევიწროებას. თავის პოემაში „სასამართლოს წინაშე“ ხეთაგუროვი გადმოგვცემს იმ მწვავე ტკივილებსა და დამამცირებელ მდგომარეობას, რომელსაც თავიდანვე განიცდიდა პოეტი. იგი ამბობს:

„ჩემი, მშრომელი მამა ვინ იყო,
ვფიცავ, არ ვიცი, არა მაქვს ცნობა,
მძიმე, მწუხარე სიზმრით დაიწყო
უდაბურ მთაში ჩემი ბავშვობა!
თავადის კარზე ყმა ფეხშიშველი
მე ვიზრდებოდი ჩვრებით მოსილი,
ღამით ვყმუოდი ხშირად, ვით მგელი,
და მამალივით ვყიოდი დილით...“

პოეტის ბავშვობა მოკლებული იყო ყურადღებას და თანაგრძნობას:

„არც ყურადღება, არც თანაგრძნობა,
ყველა მე მცემდა, ვისაც ეცალა.
რისთვის? რადგანაც ვიყავი სუსტი!
მე არ მსმენია არც ერთ წუთი
ალერსიანი სიტყვა ჩემს დღეში.“

დუხჭირ ცხოვრებით განაწამები კოსტას ბავშვობის წლები ნელა ვიდოდნენ. პატარა კოსტა დიდხანს ცხვარს მწყემსავდა:

„მეთოთხმეტეში გადავდექ მაშინ,
როს ჩამაბარეს მე ცხვრების ფარა,
როგორ მიყვარდა ჩანჩქერი მთაში,
ცა მოწმენდილი ლურჯი კამარა!“

კოსტამ პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თავის სოფელ ნარში. შემდეგ იგი შევიდა სტავროპოლის (ახლანდელ ვოროშილოვსკის) გიმნაზიაში, სადაც სწავლობდა მე-6 კლასამდე. ბუნებით ნიჭიერ კოსტას აღმოაჩნდა ხატვის ნიჭიც, მაგრამ ხელმოკლეობის გამო მალე სტოვებს გიმნაზიას და იბრძვის საარსებო წყაროს მოსაპოებლად. მას მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება, მაგრამ მაინც მიისწრაფის ცოდნის გაღრმავებისკენ და ბოლოს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ახერხებს შესვლას. მაგრამ მალე აკადემიაში სწავლას თავს ანებებს, ბრუნდება ოსეთში და სცხოვრობს ქ. კავკავში (დღევანდელი ორჯონიკიძე).

თავისი ხალხის უდიდესი მოსიყვარულე, კოსტა ხეთაგუროვი ამ დროს უკვე იდეურად მომწიფებული პოეტი იყო. იგი თავისი მხატვრული შემოქმედებით აღფრთოვანებს ოსეთის მშრომელ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. უაღრესი ლირიკული გულწრფელობითა და სიყვარულით, რეალურად გვიხატავს პოეტი ხალხის ბეჩავ ცხოვრებას, უნერგავს ხალხს მომავლის რწმენას და საბრძოლო განწყობილებას მჩაგვრელთა გასანადგურებლად, სამშობლო ქვეყნის გასანთავისუფლებლად:

„ავდექ, სამშობლოს უაზრო ადათს
მე შევებრძოლე გამწარებული.
მე შევიყვარე ქვეყანა მთელი,
ადამიანი, ტურფა ბუნება,
ყოფა ახალი, მზისებრ ნათელი,
ბედნიერება, თავისუფლება
და მოვითხოვდი გააფთრებული
ადამიანურს, ძმურს თანაგრძნობას,
თუმცა ვპოვებდი დაცინვას, გმობას...“

ქ. ხეთაგუროვი სიყვარულით შეჰყურებს მშრომელ ხალხს, მასში ხედავს თავისი ქვეყნის იმედს და ღრმად სწამს მისი გამარჯვება და მომავალი. „ნანაში“ პოეტი მშობელ დედას ასე ამღერებს:

„სიმღერის ხმებში ჩავაქსოვ
იმედის სხივებს თანაო;
სიცოცხლეს შენთვის გავწირავ,
ნანინა, ნანა ნანაო.
ცხოვრება ჯოჯოხეთია,
ჯანზე გამტყდარა მამაო,
მთის მუშაობამ გასწყვიტა,
ნანინა, ნანა, ნანაო.“

დედა შვილს ანდერძად უტოვებს სამშობლოს სიყვარულს, ევედრება, უყვარდეს თავისი ქვეყანა:

„ანდერძად სიტყვას გიტოვებ,
სახატეს კანდელთანაო,
გიყვარდეს შენი ქვეყანა,
ნანინა, ნანა, ნანაო!“

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედების მთავარი მოტივია სიყვარული სამშობლოსა და ღარიბ-ღატაკ ხალხისადმი. მისი ფიქრები, მისწრაფებანი და ოცნებანი თავს დასტრიალებენ სამშობლოს, ხალხს, მის მთებს, აულებს:

„მე ხალხი მიყვარს, თქმა არ უნდა, მიყვარს ქვეყანა;
ჩაგრულ — უმწეო და ობლები მე მიყვარს გულით,
მაგრამ უფრორე მშობლიური,— მე ვმალავ განა?
მიყვარს ღარიბი ჩვენი ხალხი, ჩვენი აული.
ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით,... და ძალა მთელი,
მზად ვარ გავსწირო მხოლოდ თქვენთვის მე ჩემი თავი.
ისე ძვირფასი და უსაზღვრო ხართ საყვარელი,
რომ ვთქვა არ ძალმიძს თქვენი ღირსი სიტყვა უკვდავი“.

პოეტი აღშფოთებულია ხალხის ტანჯვა-მწუხარებით. იგი მთელი თავისი არსებით იბრძვის მათი ტანჯვის მიზეზების მოსასპობად. პოეტს ღრმად სწამს, რომ მისი ჩანგის სიმთა ჟღერა ჩაგრულ ხალხისათვის შვების მომგვრელი იქნება:

„სწორედ ამიტომ ჩემი ლექსიც ბევრისთვის ჟღერდა,
როგორც ზარის ხმა, მწუხარ დღეთა მოსაგონარი.
არ განუცდია ვისაც ქვეყნად ბრძოლები, სევდა,—
წამებულისთვის ვერ გახდება ის მეგობარი.
მრავალს მე თავი მოვაბეზრე უხეში მღერით.
რომ გაისმოდა, ვით ბორკილთა ჩხარუნის ხმანი.
ამ ქვეყანაზე არ იქნება ის ბედნიერი,
ვინაც არ უწყის განსაცდელი და კაეშანი.“

დიდი პოეტის ხეთაგუროვის შემოქმედებაში შეიძლება ამოვიკითხოთ ოსეთის მშრომელი ხალხის განვლილი ტანჯვა-ვაება.

ხალხის სიღარიბისა და შიმშილის გულმომკვლელ სურათს კოსტა ხეთაგუროვი გვიხატავს ლექსში „ობლების დედა“. აულ ნარის განაპირა კლდეზე, ძველ ქოხში, შავებით შემოსილი ქალი, ხუთი ობოლი ბავშვის დედა, თავს დასტრიალებს კერიას ირგვლივ მსხდომარე მშიერ ბავშვებს და მოსთქვამს თავის უმწეო მდგომარეობაზე. ოჯახის მარჩენალი, ბავშვების მამა კი მთაში ზვავმა დაიტანა და დარჩა ოჯახი ხუთი ბავშვით დედის ანაბარა. მშიერი ბავშვები შესტირიან დედას. დედა იმდულრება შვილების საცოდაობით. რით დააპუროს ბედშავმა მშიერი ბავშვები? ცეცხლზე შემოსდგამს ქვაბს, რომელშიაც ცერცვის ნაცვლად... ქვები ჰყრია. ამით ცდილობს დედა ბავშვებს შიმშილის გრძნობა გაუქარვოს. დიდი მხატვრული ოსტატობით, იშვიათი სიმართლით და გულწრფელობით გვიხატავს პოეტი ოსი ხალხის მწარე სინამდვილეს.

ქ. ხეთაგუროვს ღრმად სწამს, რომ საჭიროა ხანგრძლივი მედგარი ბრძოლა, რათა „ნათელ მაღალ-მოძღვრების ძალით“ „შესაძლებელი გახდეს მტვრად აქციონ მონობის ხუნდები და ცხოვრება ჰპოვონ თავისუფალი“.

ხალხის სიყვარულისათვის ქ. ხეთაგუროვმა დიდი დევნა და შევიწროვება განიცადა. მასში თვითმპყრობელობა ხედავდა მოსისხლე მტერს, ამიტომ გადაასახლა იგი სამშობლოდან. ხანგრძლივმა დევნამ გასტეხა პოეტი. 1900 წელს გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქ. ხეთაგუროვი უკვე ჭლექით იყო დაავადმყოფებული.

კოსტა ხეთაგუროვმა თავისი მხატვრული შემოქმედებით ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა ოსეთის მშრომელი ხალხის სულსა და გულში. მისი ლექსები, პოემები და პროზაული ნაწარმოებები ხალხის ჭირსა და ვარამს, სიხარულსა და მისწრაფებას, მომავლისადმი იმედს და თავისუფლებისათვის ბრძოლას გამოხატავენ.

„მგოსნის გული მართალი შეეწირა ხალხის კეთილდღეობას“. თუ წარსულში ქ. ხეთაგუროვი სევდით უმღეროდა ჩაგრულ ხალხს, ეს გასაგებია. თავის „მიმართვაში“ კოსტა ხალხს სთხოვს:

„მაპატიე, ჩემი ჩანგი
თუ მოგასმენს მწუხარებას,
ვის არ მოსწონს სევდის ჰანგი,
მიჰყვეს თავის გულისნებას.
რომ შემეძლოს ვალის მოხდა,
ალმედგინა ჩემი მხარე—
ჩემში სევდას ვერ ნახავდი,
არც ვიმღერდი ასე მწარედ.“

კოსტა ხეთაგუროვის მთელი შემოქმედება თავისუფლებისა და ბედნიერების ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, ერთნაირად საყვარელია როგორც ოსეთის მშრომელებისათვის, ისე მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ბედნიერი ხალხებისათვის.

შ. გოზალიშვილი

საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია ქ. ხეთაგუროვის საიუბილეო დღესასწაულზე

20 ნოემბერს ქ. ორჯონიკიძეში შესდგა საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, მიძღვნილი კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულების თარიღისადმი.

საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა ქ. ორჯონიკიძეში მიავლინა დელეგაცია ი. აბაშიძის, ი. მოსაშვილის, ს. ეულის და ვ. გორგაძის შემადგენლობით.

ბრძანებულება

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჩრდილოეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის პოეტ კოსტა ხეთაგუროვის სახელის მიკუთვნების შესახებ

ოსეთის სახალხო პოეტის კონსტანტინე ლევანის-ძე ხეთაგუროვის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით მიეკუთვნოს ჩრდილოეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტს კოსტა ხეთაგუროვის სახელი.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ა. ბადაევი

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ბ. კოზლოვი

მოსკოვი,
1939 წლის 17 ნოემბერი.

ტონთიო

(თავი ახალი რომანიდან)

კონსტანტინე გამსახურდია

სასწავლებელში სოსოს მიბარებას ჯუღაანთ მეგობარი მიხა ქილიფთარიც ჩუმ წინააღმდეგობას უწევდა. როცა ეკატერინემ, რჩევის საკითხავად მისულმა, უთხრა: ოღონდ შვილს უსწავლელს ნუ დამიტოვებინებ და შვილი ეკლესია დაგიხვდებაო საიქიოს, მიხა აიმღვრა, ენა აუბორძიკდა.

იმჟამად სასულიერო სკოლაში მხოლოდ სამღვდელო პირთა შვილებს იღებდნენ და ეკატერინეს მხოლოდ ეს უნდოდა გაეგო: როგორ მოევლო ამ კანონისათვის?

მიხა ქილიფთარი მიედმოედო; აქაო და ადრე არისო სკოლაში სოსოს მიბარება, დაიჩაგრებაო ყმაწვილი. არსებითად მიხას სავსებით უანგარო სურვილი ამოძრავებდა. იმჟამად რუსსოს ახალი ელოიზით იყო გატაცებული და ამ ცდების მოხდენას თავათ ლამობდა სოსოზე.

აქ ერთი ამბავიც უნდა მოვიტანოთ: მიხა ქილიფთარს შვილები არ შერჩა. საკუთარი იდეების გამგრძელებლად რომ აღეზარდა რომელიმე მათგანი. ვერც თავათ მოეხერხებინა მწერლის, ისტორიკოსის, ან რიტორის ტალანტის მომარჯვება, რათა ამგვარად გზა მიეცა ათეული წლების მანძილზე დაგროვილ ნატანჯისა და ნაფიქრალისთვის.

ათასგვარი იდეა, ათასგვარი თეორია, ხშირად ურთიერთის მოწინააღმდეგე და შემმუსვრელი უწყალოდ გულს ულრღნიდა მიხა ქილიფთარს: მას არც ცოდნა აკლდა, არც თუ პათოსი, რომელიც ახლისმთქმელს ესაჭიროება ხოლმე, მაგრამ მას არ გააჩნდა უმთავრესი — გამოთქმის გენია.

თავათ მიხასაც შემჩნეული ჰქონდა, რომ მის ენაარეულ მეტყველებას ხშირად საკმაოდ განსწავლულები ვერ ითვისებდნენ. დიდი და მცირე გაურბოდა მასთან მასლაათს, უბრალო მიზეზების გამო: საუბრის დროს ხან საკინძზე ჰკიდებდა ხელს თავის მსმენელს, ხან ღილებზე, ხან სახელოზე.

ზოგიერთი თავაწყვეტილი მოწაფე ფოლაქს ხელში შეატოვებდა მიხას და თავს უშველიდა ისეთ მომენტში, როცა მიხას პირიდან დაიძვროდა იდეებისა და განცდების მთელი ზღვაური.

მიუხედავათ ამისა, შინდის წკნელი ეჭირა მიხას ხელში და დადიოდა გორში. ქუჩის კუთხეში დაუხვდებოდა ხოლმე რომელიმე ჭაბუკს, ეტყოდა: „სად მიიჩქარი ყმაწვილო, ალბათ ღვინის სასმელად რომელიმე დუქანში, ან თვალთუუნას უთვალთვალებ სადმე. წამო ჩრდილქვეშ ჩამოვჯდეთ სადმე და ჩვენ წინაპართა გმირობისათვის გიამბო რამე“.

ყველა გაურბოდა მიხა ქილიფთარს, ხოლო პატარა სოსოს მუდამ ჰყოფნიდა მოთმინება. მთელი საათობით მოუსმენია მისი ბუნდოვანი ქადაგებანი საქართველოს ისტორიიდან, მითოლოგიიდან, ძველი მწერლობიდან.

ეს ყოველივე თავათ შეესწავლა მიხას, მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ სემინარიასა და აკადემიაში ნასწავლი თავის ქვეყანაში არ გამოადგა.

როგორც ყოველ თვითგანსწავლულს, მასაც საკმაოდ უსისტემოდ ჰქონდა თავისი ცოდნა დალაგებული.

ერთ რამეს მტერიც ვერ წაართმევდა მიხა ქილიფთარს, მას სავსებით ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა სამოც წლისთვის ფეხმიბჯენილს.

მიხა ქილიფთარმა თითქმის ზეპირად იცოდა საქართველოს ორი ათასი წლის ისტორიის მანძილზე რომელი მეფე, ერისთავი, ან კათალიკოსი სად დაბადებულა, როდის მომკვდარა, რომელი ომი სად მომხდარა, რომელ მეფეს, რომელ ბრძოლაში წაქცევია ცხენი. უფრო მეტს ვიტყვი: ან ეს ცხენი რა ფერისა ყოფილა?

არც ფანტაზია აკლდა მიხა ქილიფთარს, მაგრამ ეს იყო: მისი ფანტაზია ისტორიკოსისათვის მეტი იყო, დიდი ბელეტრისტისათვის არასაკმარისი, ამიტომაც ვერც ერთი გამხდარიყო იგი და ვერც მეორე.

არც მასწავლებლის ტალანტები ჰყოფნიდა მიხა ქილიფთარს, იგი არავითარ ანგარიშს არ უწევდა მსმენელის ასაკს, ათვისების უნარსა და განვითარების დონეს.

ეს გარემოება მას სასაცილოდ ჰხდიდა თვით თავის ერთგულ ცოქალის თვალშიაც. ეს უკანასკნელი ხშირად მურაბის მოდუღებას მიატოვებდა, მივარდებოდა მიხას და ხელიდან გამოგლეჯდა სოსოს, რომელიც ქანცმილეული, მაგრამ მაინც გატრუნული უსმენდა ხოლმე საპირე შემოხეულ სავარძელში მეფურად წამომჯდარ მწიგნობარს.

ასეთ მომენტში უნდა გენახათ მიხა ქილიფთარი.

აღმოსავლურათ ფეხმორთხმული იჯდა თეთრი თმაწვერით მოსილი მოხუცი (ალბათ ვახტანგ მე-VI, ან ვახუშტი ბატონიშვილის ანალოგიით). შინდისფერი, ყურთმაჯებიანი კაბა ეცვა. სახელოები მხრებზე გადაკეცილი თავზე კალმუხის ქუდი ეხურა, საკმაოდ პეწგაცლილი, სათვალე შუბლზე ჰქონდა აკეცილი. ხელები მუდამ მელანში ამოთხვრილი. სამაგიეროდ საშუალო საუკუნის გადამწერლები შურით შეხედავდნენ მის ხელნაწერს უთუოდ.

ღერიან ქართულ ასოებს ძველი გადამწერლების დარად ლეკურებივით სწერდა, ხოლო ლაპარაკში არქაულად უქცევდა, „რამეთუ“ და „უკეთუ“-ს წარამარა ურევდა საჰირბოროტო საუბარშიაც.

ამ ძველმოდურ კოსტიუმსა და მეტყველებას ედო უცილოდ წილი იმაში, რომ მიხა ქილიფთარი ოდნავ ახირებულ კაცად იყო ცნობილი გორში, არა მარტო გორში, თბილისშიაც სასაცილოდ იღებდნენ ხოლმე ამ ძველი, ფრესკული ჩაცმულობის პატრონს „ჩინოვნიკების“ თბილისის ქუჩებში გამოჩენილს.

ისტორიის შეგნებაში მაინც და მაინც შორს ვერ მიდიოდა მიხა, მას მხოლოდ ლეგენდარული და ანეგდოტური მხარე ესმოდა მისი. ამიტომაც მთელი ისტორია საქართველოსი მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც განუწყვეტელი მარტვილობა ხეთების პერიოდიდან ვიდრე 1801 წლამდის (საქართველოს სამეფოს მოსპობის შემდეგ ისტორიიდან ამოშლილად სთვლიდა იგი ქართველ ხალხს), ხოლო საკუთარი გვარისა და მისი პირადი ტრაგედია ამ ოკუმენური მარტვილობის განუყრელ ნაწილად ჰქონდა მიჩნეული.

როცა რომელიმე ხამი სტუმარი ჩაუვარდებოდა ხოლმე მიხა ქილიფთარს ხელში, იგი ნასადილევს გვერდით მოისვამდა ბოზბაშით გამაძღარს, უთუოდ წაუკითხავდა თავის შორეული პაპის იოანე ქილიფთარის ანდერძს, საკმაოდ ერცელ გრაგნილზე მხედრულით დაწერილს.

ანდერძში მოხსენებულია, რომ ქილიფთარებს დიდი სამსახური გაუწევიათ დავით აღმაშენებლისათვის „როცა იგი გელათს აშენებდა და „გალავნიდამა გადმოვარდა, სამას და ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა უშველეს, მაშინღა, ერთი აქიმი მოვიდა ყველას უკანის ბოლოსა და სთქვა: „თუ ირმის რძეში არ ჩავაწვინეთ არ ეშველება რაო“.

მთელი საქართველო მოიარეს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და შიოშ ქილიფთარს მიაკვლიეს, არმაზის მთის ძირში მოსახლეს. მას ჰყოლია „თორმეტი ფური ირმისა მწველელი“.

„მოილო“ ქილიფთარმა და აღმაშენებელი გადარჩა, ხოლო შიოშ ქილიფთარს მცხეთის სახლთუხუცესობა უბოძეს თურმე.

კითხვის დროს მიხა განსაკუთრებული მახვილით აღნიშნავდა იმასაც, რომ პაპა იოანე ქილიფთარს, მცხეთის სახლთ-უხუცესს, ხუთი ქართველი მეფე: თეიმურაზ I, როსტომ, ვახტანგ V, შაჰნავაზ I და გიორგი XI და ოთხი კათალიკოსი გამოუცვლია (კათალიკოსებს ჩამოთვლას ღირსად არა სთვლიდა მიხა). აგრეთვე განსხვავებული ტონით წაუკითხავდა იმ ადგილს, სადაც ნათქვამია ანდერძში, რომ პაპა იოანეს ასზე მეტი გაოხრებული სოფელი და ამდენივე ეკლესია განუახლებია.

მეთერთმეტე საუკუნიდან სასულიერო კარიერა არ დაუგდიათ ქილიფთარებს და მიხას მამას სტეფანოზს, მარტოოდენ ქართული წირა-კითხვის მცოდნეს, რუსის დეკანოზობამდის ძლივს მიეღწია, თუმცა მთელი სიცოცხლე არქიელობის ხარისხისათვის უოცნებია.

სტეფანოზი რუსულის ვერ შეთვისების გამო, ვერ ეღირსა ამ ხარისხს და ამიტომაც მისი გარდუუვალი სურვილი იყო, როგორმე მიხას რგებოდა ეს პატივი, მიხას ესახელებინა ახალ დროში ქილიფთარების ისტორიული გვარი.

ამიტომაც გაათავებინა მან შვილს თბილისის სასულიერო სემინარია და რუსეთში გაგზავნა იგი აკადემიაში. სწავლის დამთავრებამდე მიხა შინ დაბრუნდა. მაგრამ არქიელობისათვის ოცნების ნაცვლად ხალხოსნური იდეები ჩამოიტანა და თბილისის სემინარიაში მასწავლებლის მოკრძალებული პოსტი იკმარა.

მერმე ის იყო სემინარიის რექტორი, ჩუდეცკი მოჰკლეს და ჟანდარმერიამ რაღაც მანქანებით მიხას სახელი დაუკავშირა ამ საქმეს. დამტკიცებით ვერაფერი დაუმტკიცეს, მაგრამ „მგლის ბილეთი“ მაინც მოუხერხეს.

მიხას არც ერთი ჭაღარა არ მომატებია ამის გამო, არც თავის გასამართლებელი არზების წერით შეუწუხებია თავი, გორში ჩამოვიდა არხეინად, პატარა ბაღი და ვენახი გააშენა და ატენში აგრონომიის ხელი მიჰყო.

კარჩაკეტილ ცხოვრების ტარებამ „ახირებული კაცის“ სახელი მოუხვეჭა. არც ამის გამო დაღონებულა. „ხალხში გასვლა“-ს მონატრებულმა ერთი ჯორი იყიდა და ხალხოსნური ლიტერატურა დაჰქონდა ხურჯინით მთელს ქართლში.

მიხას ჭირის დღესავით სძაგდა როგორც სამღვდელოება ისე აზნაურობა, მაგრამ შემთხვევამ მოიტანა და მას დაუმეგობრდა ველევში ახალგაზრდა თავადი, კიაზო ამირეჯიბი, რომელიც რუსის ჯარიდან გამოეძევებინათ რაღაც მიზეზის გამო.

ამირეჯიბი „დაიწაფა“ ხალხოსნურ ლიტერატურას და მიხაც გულმოდგინედ უზიდავდა მას „სულიერ საზრდოს“ იმ იმედით, რომ ეს მონანიებული ქორი მტრედად ექცია როგორმე. მაგრამ აქ მოხდა ისეთი მოულოდნელი ამბავი, რომელიც რომანებში მეგობრობის ნაცვლად მტრობის კოცონს აგიზგიზებს ხოლმე.

ამირეჯიბის მოახლემ, ცოქალამ გაუმხილა მას საიდუმლო. თურმე ნუ იტყვით, კიაზო ამირეჯიბი მიხას მიერ იდუმლად ჩამოტანილ ხალხოსნურ ლიტერატურით თონეს ახურებინებდა ხაზაინას.

მიხამ ისედაც იცოდა, რომ მას დასცინოდნენ, როგორც სამღვდელო პირნი, ისე თავადთაგანნი. გორელ [illegible] ხომ ყბად ჰყავდათ აღებული მისი ჯორისა და მისი ჯორნაფარი მოგზაურობის ამბები და ამიტომაც როცა ამირეჯიბიანთ ახალგაზრდა მოახლემ ასეთი თავგანწირული მეგობრობა გამოიჩინა მიხასადმი, ამან უკვე იკმარა რომანიულ ინტრიგის ჩასასახავად. მით უმეტეს, დაახლოვებით ასეთი რამ სადღაც წანაკითხი ჰქონდა სიჭაბუკეში კიდევაც.

ცოქალა ამირეჯიბიანთ ნაყმევის [illegible] იყო და კიაზოს ძალიანაც უნდოდა მისი მოშორება, მაგრამ როცა მიხა წაეპოტინა თავის დასანიშნულს, კიაზომ რუსული უარი სტკიცა, თანაც მოიბოდიშა: რუსეთში ნათრევ კაცს, ჩემს ოჯახში გაზრდილ ქალს არ გავატანო.

როცა ცოქალასთან დათქმულ პირობისამებრ მიხა და ორი მისი ერთგული ამირეჯიბიანთ მუხრანს მოადგნენ უთენია, პატარძლის გასატაცებლად, ამირეჯიბმა შეიარაღებული ბიჭები დაადევნა. მტკვრამდის მიჰყვნენ მდევრები სროლით და როცა მეფე-დიდოფალი სამშვიდობოს გაიყვანეს მაყრებმა, ხარხარით მიაძახეს: „ჭირი მოსჭამეო ჩვენს ბატონს“.

ამ ამბის შემცნობმა სტეფანოზ ქილიფთარმა გადმოიღო „ფსალმუნი“, რომლის ყდაზედაც მიწერილი ჰქონდა სხვა შვილებთან ერთად მიხას დაბადების თარიღი, ამოშალა იგი და აუმღვრევლად დაბინავა წიგნი ისევ თავის ადგილას.

სწორედ ამ ცოქალასაგან ეყოლა მიხას სამი ვაჟი და ორი ქალი. ხუთივე ქუნთრუშმა და ყვავილმა იმსხვერპლა.

უბედობა ხანდახან ზედიზედ დასეტყავს ხოლმე კაცს. დეკანოზი სტეფანოზ ბრაზმა მოიშთო. მიხას უფროსი ძმა მტკვარში დაიხრჩო. მიხამ მათი წილი მამული გლეხებს დაურიგა. თავათ პატარა ვენახი დაიტოვა ატენში, აგრონომიის თავი მიანება, სიძველეთმცოდნეობას და მეფუტკრეობას მიჰყო ხელი, მთლად განმარტოვდა და ჩაეფლო წიგნებში.

ზაფხულობით მოგზაურობდა მიხა. აგროვებდა ძველ ხელნაწერებს, ხატებს, ეტრატის ნახევებს, კერამიკული და მოჭიქული ხელოვნების ნაშთებს და ნამსხვრევებს.

ასე რომ მის სახლში იპოვიდით ვარძიიდან ჩამოტანილ ძველ საგალობელს, გელათის რომელიმე ხატს, ზარზმის რომელიმე ჩუქურთმის ნამსხვრევს, წრომის, ყინწვისის, დმანისის გვირაბებიდან გამოტანილ ძველ მონეტებს, რაინდულ თორებს, [illegible] ჯავარდენებს, სპილენძის საყურეებსა და რკინის პერანგებს.

ასე დადიოდა მიხა მთელს საქართველოში, როგორც გულმტკივნეული მებაღე, სეტყვის მეორე დღეს თვალის შემვლები დასეტყვილი ბაღისა.

ისტორიაში იგი მომეტებულ როლს აკუთვნებდა ფანტაზიას. ხშირად მისი ფანტაზია უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე მატიანეთა მიერ მოცემული ცნობები და სადაც ფაქტების დაზუსტება აკლდა ისტორიას, მიხა ქილიფთარი ორი სიტყვით გადააბამდა ხოლმე შეუთავსებელ ფაქტს ურთიერთზე, „როგორც მტკიცდება“ და ცოტა უფრო ქვემოთ, „როგორც უკვე დავამტკიცეთ“.

ასეთ ხერხებს მიმართავდა მიხა ქილიფთარი არა მარტო მაშინ, როცა თავის წერილებს აგზავნიდა თბილისის „ისტორიულ მოამბეში“ მოსათავსებლად. ამიტომაც მუდამ უკან უბრუნებდნენ მას თავის „ნარკვევებს“.

მიხა ქილიფთარი დიდ როლს აკუთვნებდა ბრმა შემთხვევის ძალასაც. მისი აზრით, მირიან მეფეს ნადირობის დროს მზის დაბნელება, რომ არ შემთხვეოდა, საქართველო არ გაქრისტიანდებოდა და ქართველი ხალხი „ამოწყვეტას გადაურჩებოდა“.

თამარის ვაჟი, ლაშა გიორგი, ლოთი რომ არ ყოფილიყო, ქართველები უთუოდ სძლევდნენ მონღოლებს მესამეჯერ შეტაკებისას, ვახტანგ გორგასალს ქორი რომ არ გაფრენოდა, თბილისი არ გვექნებოდა.

სამღვდელოებისადმი ღრმა სიძულვილით გამსჭვალული მიხა ხელაღებით უარყოფდა ქრისტიან მეფეების როლს. ფარნაოზს დიდად აქებდა. პირველ არაქრისტიან მეფეს და აგრეთვე ვახტანგ გორგასალსაც რატომღაც, დავით აღმაშენებელს რელიგიური სკეპტიციზმის გამო აღიდებდა, მამამდიან ქართველ მეფეების პოლიტიკას იწონებდა, უკანასკნელი ბაგრატიონის სახელის გაგონებაც სიძულვილს ჰგვრიდა, გიორგი სააკაძეს აღმერთებდა, იგი იყოო დაჩიავებულ მეფეთა რისხვა.

ერეკლე მეორეს თუმცა დიდად თაყვანსა სცემდა როგორც სარდალს, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსს აძაგებდა.

ყრმა სოსოს შეატყო ერეკლეს ლაშქრობანი რომ აინტერესებდა ფრიად, და მართლაც ისე ოსტატურად აუწერდა ხოლმე მას ერეკლეს 99 ომს, ყოველ მათგანს თავათ დასწრებიაო თითქოს.

ბავშვი ამ ამბავმა ისე გაიტაცა, თვითონაც გონება-მახვილ კითხვებს აძლევდა ხოლმე მთხრობელს. მაგალითად ასეთი შენიშვნაც მისცა: თბილისთან ასე ახლოს რომ არ მოიშვა ირანელები ერეკლემ, აღამაჰმედ-ხანი თბილისს ვერ აიღებდაო.

ამ ამბავმა მიხა ქილიფთარი ისე გააოცა, როგორც მოცარტის მამა, როცა ხუთი წლის გენიოსმა ერთულის სუიტა დაუკრა.

მიხამ უწინასწარმეტყველა სოსოს: უთუოდ დიდი სარდალი გამოხვალ. ოღონდ ეს იყო ერთი პირობა დაუთქვა უცილო: ახლავე შეისწავლო ისტორია.

ასე უყვარდა ომების თხრობა მიხა ქილიფთარს, მაგრამ სიბერეში ფეხგადადგმულს, ჭირისდღესავით სძაგდა ომი.

შემოდგომის მწუხარსა და მზიან დღეს, სოსო ჩამოსულიყო მიხას საფუტკრეში.

დაუვიწყარია სიყრმეში თვალმინაჩვევი ლანდშაფტები, ადამიანი წამოიზრდება, ბევრს იმოგზაურებს, მრავალ თვალწარმტაც სურათს ნახავს ბუნებისას, მაგრამ ყველაზე მტკიცედ სიყრმეში ნახული ლანდშაფტები რჩება ჩვენს ხსოვნაში და როცა „ბუნებას“ ვახსენებთ, ესენი წარმოგვიდგება თვალწინ.

მიხას ბაღი და კარ-მიდამო მთელ გორს გადასცქეროდა, მტკვრისა და ლიახვის ხეობაში ოქრო და ქარვა დნებოდა მზეარეში. ხვალისაკენ ვადარიჯულ, გნოლისფერ სირებს, მთების კალთებში გაფანტული ცხვრის ფარები სირმის ბუზმენტებად დატყობოდნენ. ატამი, ვაშლი და ყურძენი ლალისფრად ღვიოდენ ხილნარის დაბუნძლულ შტოებში.

ფუტკრები სევდიანად ბუტბუტებდნენ დამონჯებული სკების კარებთან.

მიხამ მოავლო ამ იდილიური სურათის ჰვრეტით გართულ ყრმას მხარზე ხელი დაადო და ეუბნება:

„აი, შვილო ჩემო, ჭეშმარიტად საწუკვარი სურათი ბრძენი ბუნების ცხოვრებისა, ხომ ხედავ, ეს საყვარელი მწერები არავის ებრძვიან. უკეთუ ვინმეს ხელი არ წასცდება მათი საბადებლის წარსატაცებლად. ისინი მუდმივი შრომით არიან გართულნი. ყოველ მათგანს მონაგრის ჭირდაჭირ მიუზღოს და მათთვის უცხოა ადამიანის შური და მზაკვრობანი.

საკუთარი შრომით ირჩენენ თავს და არც მე მივიწყებენ ბეჩავ მოხუცს, მათს ხელშემწყობსა და მოამაგეს.

მე დავბერდი, შვილო ჩემო, შვილი არ გამაჩნია და მირი, რამდენიმე მზიანი დღე დამრჩენია და ჩემი ერთადერთი სურვილი ესაა: მათ სამსახურში დაველიო დღენი.

აი, ეს საფუტკრე არის შვილო, ჭეშმარიტი იდეალი და საოცნებო რესპუბლიკა ბუნების მიერ კაცთა საგულისხმოდ გაჩენილი“. ამ საკმაოდ პათეტიური შეგონების შემდეგ მოხუცმა ხელი წაავლო სოსოს და შინისაკენ გაბრუნდა, რადგან ხეთა ჩრდილებზე ატყობდა სადილობის დრო მოწევნულიყო.

ძველებური აივნიდან სახლის წინ საამოდ ღურტულებდა ბოსტნიდან გამოყვანილი რუ. შეჭკნილ სვეტებზე გასულ ვაზებიდან დაცვენილ ფოთლებს დაეფარათ ალაგ-ალაგ ჩანგრეული აივანი.

ცარიელ დარბაზში შოთას, თამარის, ერეკლეს და ილია ჭავჭავაძის სურათები შენიშნა სოსომ.

სრული ქაოსი სუფევდა გარშემო. თახჩები დამტვერილ წიგნებით იყო სავსე. ჩრჩილისაგან დაჭმულ ნოხებზე კაჟის თოფები, დამბახები, ქულები, ყანწები, ჯაჭვის პერანგები და ჯიხვის რქები ეკიდა.

ერთ თაროზე ბავშვმა შენიშნა უჩვეულო ბარძაყის ძვლები, თავის ქალები და მკლავები. ეს რელიქვიები წინაპართა კულტის, წინადღით ჩამოეტანა მიხას უფლის ციხიდან.

სოსოს ჯერ არ ენახა ეს და ამიტომ შედგა, გაოცებული მიაშტერდა.

დაინტერესდა: რათ გინდაო ეს ძვლები, ძია მიხა?

მასპინძელი მიხვდა: ნაადრევი იყო ბავშვის ყურადღების ამ ჩონჩხზე შეჩერება, ნიკაპზე ხელი მოავლო, ამ [illegible] დარდისაგან შეულახავ თვალებში ჩახედა და ეუბნება: „ეს ბავშვების საქმე არაა, წამო ცოქალა სადილს გვიჭმევს“.

ცოქალა ბუხრის პირად იჯდა სამზარეულოში, შამფურზე წამოგებულ ინდოურს ატრიალებდა. ცხიმი შიშინით იღვენთებოდა და საამოდ ტკაცინებდა ცეცხლი.

სოსოს საკმაოდ მოშივნოდა მთელ დღე ნარბენს და მისი ნესტოები ხარბად იზიდავდნენ სამზარეულოში დაკმეულ სუნს.

მიხამ ფანჯარასთან მიიყვანა სოსო და საჩვენებელი თითით მიუშვირა გორისციხეს და მის ნანგრევს.

„აი, შვილო ჩემო, შენ რომ მეკითხებოდი ამას წინად, ამ სერიდან შერქმევია ჩვენს ქალაქს გორი, იმ სერიდან, რომელზედაც თავათ დგას ციხე. ირაკლი, ბერძენთა კეისარი თავს დაესხა ამ ციხეს“.

აქ მიხა ქილიფთარი წვრილად აუწერდა სოსოს თუ როგორ ყოფით მოადგა კეისრის ჯარი გორის ციხეს. (ცეცხლივით ლაპლაპა მუზარადი ეხურა თურმე თეთრ სპილოზე წამომჯდარ კეისარს. მისი ჯარების ზურბი და რკინის პერანგები ვარვარებდნენ მზეში და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, ცეცხლწაკიდებული მდევრები მისევიანო ციხეს). ლოდსატყორცნებით და ტარანებით ბღუდა თურმე გორის ციხე კეისარს. დასასრულ ისიც უთხრა: ტონთიო დაარქვაო ირაკლი კეისარმა გორს, რაიცა ნიშნავს ოქროს მთას.

„მე-17 საუკუნეში თურქებმა აიღეს გორი. სიმონ მეფე მოსდგომია ციხეს თავისი ჯარით“.

მიხა თითით უჩვენებს სოსოს.

„ივერ მტკვრის გაღმა სერზე მეფე სიმონი და მისი ჯარი მდგარა. ზაფხული იყო და კიტრი უნატრია მეფეს.

გადმოუშვებ თურმე თავაწყვეტილი რაინდები, ივერ მხარ მარჯვენით ოქრობერიძეების ბოსტნებია, ე მანდ კიტრი და მწვანილი მოუპარავთ რაინდებს და მეფისათვის მიურთმევიათ“.

მიხას შეხედა და სოსომ მოკრძალებულად უთხრა:

„ასე გამოდის კიტრისა და მწვანილის მოსაპარავად მოსულა სიმონ მეფე და მისი ჯარი“?

მიხას ეამა ეს შენიშვნა, გადაიხარხარა:

„არა, შვილო ჩემო, ბოლოს და ბოლოს სიმონმა აიღო გორი“.

„ე მანდ ძველი ყაზარმები რომაა, იქ როსტომ მეფის სასახლე იდგა.

„ლიახვს გაღმიდან ეკლესია რომ მოჩანს იმ სოფლის ბოლოს 80 წლის ერეკლემ სასტიკად დაამარცხა ლეკები“.

„ვეღა, ტვინი ნუ ამოსჭამე ამ ბავშვს, მოდით, მოდით, ინდოური გაცივდა“.

შერისხა ცოქალამ ქმარი.

როცა სადილი მოთავდა, ცოქალამ ჭურჭელი გასარეცხად წაიღო. მიხამ თავის ოთახში შეიყვანა სოსო, სათვალე გაიკეთა, თახჩიდან გადმოიღო პაპა იოანე ქილიფთარის ანდერძის ეტრატი (ეშინოდა ცოქალას არ შემოესწრო), უკანასკნელი აბზაცი წაუკითხა მხოლოდ:

„გავიდე ამ უხამის სოფლისაგან და მივალ წინაშე მეფისა ქრისტოსა, კვირისა დღით, ივნისის ერთსა. და დაიდვა გვამი ჩემი ატენის ტაძართან რომ სამრეკლო არის. და ჩემთან წევს საყვარელი ძე ოთარი და ჩემს უწინარეს ოთხის წლით მიიცვალა თვალთაგან ჩემთა. შვილების სიკვდილმან ასეთი სენი შემყარა რომ ვეღარ გადავრჩი და მათთან მოვედ განსასვენებლად. უწინ პაპა დამირჩა მტკვარში, მერმე დედამისი დამეკარგა და იმან მამალა, მერმე ვახტანგი მომიკლა კეკმან ავმან ლოთობითა და სევდამ ცხოვრება დამალევინა და განმიყვანა ამიერ. კაი ამბით დამიმარხეთ [illegible] დღელევან. უთუოდ სევდა ზარზმანზე ძალიან ეცემის თქვენმან მზემან კაცსა და დაუფასებს გონებასა და მოშლის კეთილისა და დიდებისაგან. ვინცა შენდობით მომიხსენიოთ [illegible] და ცოცხალი [illegible]“.

როცა ამ ეტრატს კითხულობდა მიხა ქილიფთარი, მის ხმას გაბზარვა ეტყობოდა, ზედ ქუთუთოები დაშვებული ჰქონდა დანაოჭებულ თვალის უპეებში, მისი დამჭკნარი, დალეული სახე მიცვალებულისას მოაგავა. იჯდა, კი არ იჯდა, იწვა სავარძელში და უკითხავდა ბავშვს ამ მწუხარე სტრიქონებს და თვით ეს ერთადერთი მისი მსმენელიც მას სახეზე შეატყობდა, რომ მიხა ქილიფთარს თავისი გვარის და მისი საკუთარი ცხოვრებაც ისევე წაგებულად მიაჩნდა, როგორც საქართველოს მიერ გადახდილი აურაცხელი ომები, რომელთა თხრობა მას ისე უყვარდა.

ზის მიხა თავის სავარძელში, თვალნი ეხუჭება, ისევ [illegible] მისი [illegible] წარბები და მზერით სოსოს [illegible] ფერი თვალებით და ისევ თვლემს...

სოსოს შინ წასვლა სწადია, მაგრამ ერიდება. ეგებ ცოქალა გამოჩნდეს ბედად. იხედება წიგნებით დახერგილ ოთახში გარშემო. ეტაჟერებს, მაგიდებს და კარადებზე ორბების, ქორების, მიმინოების, წეროების ფიტულები ყრია, ზოგი მათგანი წაქცეულა, ზოგიც თავდაღმა დაყირავებულა.

ასე სთვლემდა ყოველ ნასადილევს დამტვერილ წიგნებსა და ფიტულებს შორის მიხა ქილიფთარი.

◆

მეორე დღეს სოსო, პეტა და გიგი დადიოდნენ გორში, დუქნების, სახლების, ორღობეების და ფანჯრების რაფებზე აწერდნენ:

„ტონთიო“, „ტონთიო“, „ტონთიო“.

პეტა იმ წელს უკვე სასულიერო სასწავლებლის მოწაფე იყო და ამიტომაც სასკოლო ოთახის კარებზედაც მოასწრო ცარცით ამ სიტყვის წარწერა: ბერძნულის მასწავლებელი თავზე წაადგა ამ „დანაშაულს“ ჩადენისას და ყურით დაითრია პეტა.

„ვინ გასწავლა, შე ავაზაკო, ეს სიტყვა“?

ეკითხება მასწავლებელი.

„სოსო ჯუღაშვილმა“.

„სოსო ჯუღაშვილი ვინაა“?

შეეკითხა ინსპექტორი.

„ჩვენი შეგირდია“ იცრუა პეტამ, რათა მალე გაეშვა მასწავლებელს [illegible] ყურისათვის ხელი.

„სოსო ჯუღაშვილი?! ასეთი შეგირდი მე არ ვიცნობ“.

ბუზღუნებს მასწავლებელი.

სკოლის ადმინისტრაცია ამ სიტყვამ დააფიქრა. მით უმეტეს, რომ ბერძნულის მასწავლებელმა ვერც ერთ ლექსიკონში ვერ იპოვნა იგი. ვაი თუ რომელიმე საიდუმლო ორგანიზაციის ლოზუნგი იყოსო „ტონთიო“.

მეორე დღეს საკლასო ჟურნალები გადააქოთეს ინსპექტორმა და ბერძნულის მასწავლებელმა, მაგრამ ამაოდ, ასე რომ „ტონთიოს“ გამოგონებისათვის“ ხელმეორედ მოხვდა პეტას.

სიმღერა ხასანის გმირზე

გიორგი კალანდაძე

შორს ტაიგების ნამგალა
მთვარე [illegible] ქნარებით,
ხასანის ტბასთან დამდგარა
ვეფხი ალმასის თვალებით.

ვინ არის, საიდან მოსული,
რა ფიქრებს გაუტაცნია?!
არც [illegible] ოსური,
არც ყირიმული აცვია!

ის ჩვენი ქვეყნის შვილია,
ჩვენი სამშობლოს დარაჯი,
სტალინის გამოზრდილია
ვეფხის [illegible] ფარაჯით.

აღმოსავლეთით გახედავს —
— მტრის დასახვედრად მზად არი,
კლდოვან ბილიკებს გაჰკვეთავს
[illegible]

გმირულ ბრძოლებში ნაცადი
დგას, ვით ზღაპრული თქმულება
და გულისცემა ვაჟკაცის
ქვეყნის გულს ეხმაურება.

მთვარეს მავთული გაუბამს,
მდუმარე ღამის უბეში,
ისმენს პარსკვლავთა საუბარს
ლაჟვარდთა სიბინდბუნდეში.

არც ნაკადულის ტიტინი,
არც ჩქამი ადამიანის...
ბუჩქიდან ბუჩქზე ჩიტივით
გადაფრინდება ნიავი.

ის კი, ბრძოლებში ნაცადი
დგას, ვით ზღაპრული თქმულება
და გულისცემა ვაჟკაცის
ქვეყნის გულს ეხმაურება.

თუნდ ხიდან ხიწვი დავარდეს
ნიავის გამოქანებით,
გარემოს მონავარდებს
ვეფხი ალმასის თვალებით.

გიორგი ერისთავი

გ. ბუხნიკაშვილი

2 იანვარს, 1850 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის შენობაში გაიმართა წარმოდგენა. ამ დღიდან იწყება ახალი ქართული თეატრის ისტორია. ქართული თეატრის განახლების სულის ჩამდგმელი გიორგი ერისთავი იყო.

გ. ერისთავის მიერ მოწყობილი პირველი სპექტაკლი „გაყრა“, გამართული 2 იანვარს 1850 წელს „წარჩინებულ და კეთილშობილ“ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით, წარმატებით განმეორებული იქნა ერთი წლის შემდეგაც, 1 იანვარს, 1851 წელს.



ამ დროს უკვე ვხედავთ ქართულ პროფესიულ თეატრს. დასის შემადგენლობა გ. ერისთავმა საზოგადოების დაბალი ფენებიდან შეარჩია. ესენი იყვნენ ღარიბი აზნაურები, ვაჭრის შვილები, წვრილი მოხელენი, გლეხები—უმთავრესად გორის მაზრის ახალგაზრდობა. თეატრის ხელმძღვანელი დარწმუნებული იყო, რომ ასეთი დასი უფრო საიმედო იქნებოდა თეატრის წარმატებით განვითარებისათვის, ვიდრე სცენის მოყვარენი წარჩინებულთა წრიდან. ამ უკანასკნელებს სპექტაკლში მონაწილეობის მიღება უბრალო დროს ტარებად და გასართობად მიაჩნდათ.

თეატრს დაენიშნა 4.000 მანეთი ყოველწლიური დახმარება. ვორონცოვმა თეატრის მსახიობთ „დრომშკის“ ფულიც კი დაუნიშნა—ტალახში სიარულით არ შეწუხდნენო. ვორონცოვი ერთხელ რეპეტიციაზეც კი დაესწრო. თეატრისადმი ასეთი განსაკუთრებული ყურადღება გასაგები იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ ვორონცოვის იდუმალ მიზანს—ქართული თეატრის საშუალებით ქართული საზოგადოების დაპყრობისა და „რუსებში გათქვეფის“ შესახებ.

თეატრს მოშაობის დაწყებისთანავე მრავალი არა კეთილის მსურველი აღმოუჩნდა. ესენი იყვნენ მეფის მოხელენი და აგრეთვე ქართველი თავად-აზნაურობის უფრო კონსერვატიული ნაწილი.

მთელი რიგი შემზღუდველი ხერხების საშუალებით, დაბოლოს ფულადი დახმარების მოსპობით, ხუთი წლის არსებობის შემდეგ თეატრი დაიხურა.

მთავარი მიზეზი მმართველი წრეების ამხედრებისა თეატრის წინააღმდეგ უნდა ვეძებოთ მასში, რომ თეატრმა არ შეასრულა მმართველობის დაკვეთა მონარქიზმის სასარგებლო პროპაგანდის შესახებ და პირიქით ქართული კულტურის აღორძინების ერთ-ერთ ფუძედ გადაიქცა. თეატრის რეპერტუარში შეიტანეს ისეთი პიესები, რომლებიც აშკარად იყო მიმართული არსებული სოციალური წყობისა და მართვა-გამგეობის წინააღმდეგ. თეატრის ასეთი გზით განვითარება დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა მონარქიზმის მიერ თეატრისათვის დასახულ ამოცანებს.

რას წარმოადგენდა გიორგი ერისთავის პიესები, რომლებიც წამყვან როლს თამაშობდნენ თეატრში და რომელთა მიხედვით სწერდნენ პიესებს დანარჩენი დრამატურგები?

გიორგი ერისთავის დრამატიული ნაწარმოები რეალისტური მიმართულებისა იყვნენ. მათში ჩანდა არსებულ ფეოდალურ-ბიუროკრატიულ წყობილების კრიტიკა, საზოგადოების დაჩაგრული ფენის—გლეხობის დადებითი მორალური ძალის ჩვენება.

გიორგი ერისთავმა თავის დრამატიულ ნაწარმოებში ჩააქსოვა მოწინავე იდეები, შეთვისებული რუსეთისა და დასავლეთ-ევროპის მოწინავე ლიტერატურისა და სოციალური წყობის გაცნობით.

„გაყრა“ და „დავა“ ცნობილი პიესებია, რომლებშიაც გამოსახულია ფეოდალური წოდების დაღუპვისა და გადაგვარების პროცესი. ამ პიესებში არის ნაჩვენები ქართველი თავად-აზნაურობის პარაზიტული ცხოვრება, ფუქსავატობა.

გ. ერისთავი თავის პიესებში ჰგმობდა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებსაც. „ხარიტონ ფილიპიჩის“ კლასიკურ ტიპის გამოცემით იგი ააშკარავებდა მონარქიზმის მართვა-გამგეობის აპარატის გახრწნასაც, ჩინოვნიკების გადაგვარებასაც, რომელთაც მექრთამეობა ურყევ კანონად აქვთ მიღებული.

გ. ერისთავმა მძაფრად ამხილა გაბატონებული ფენების გახრწნილება. საზოგადოების მორალურ სიძლიერეს მწერალი დაჩაგრულ ფენებ[illegible] გლეხობაში ხედავდა. ამ მხრივ [illegible] საინტერესოა გ. ერისთავის დრამა „ყვარყვარე ათაბეგი“ (გადმოკეთებული [illegible] ტრაგედიიდან), რომელიც [illegible] ყურადღების ღირსია, ვიდრე მას აქცევენ ჩვენი თეატრები და ლიტერატურის მცოდნენი.

პიესის სიუჟეტი გაშლილია ისტორიულ ფონზე, მაგრამ ისტორიული მარტო მონაწილეთა სახელებია (რუსუდან დედოფალი, ყვარყვარე ათაბეგი, სარგის თმოგველი და სხ.), სხვა მხრივ პიესა ზუსტად არ მისდევს ისტორიული ფაქტების თანამიმდევრობას.

პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირია მენახშირის ქალი—მართა, რომელიც დიდებულმა ყვარყვარე ათაბეგმა ცოლად შეირთო. რუსუდან დედოფალი და სხვა დიდებულნი წინააღმდეგნი არიან ამ შეუღლებისა. მათი აზრით, ყვარყვარეს არ შეეფერება გლეხკაცობის წრიდან გამოსული მეუღლე. რუსუდანი აიძულებს ყვარყვარეს განგებ ჩააგდოს განსაცდელში მართა და ამით გამოსცადოს მისი ერთგულება და სიყვარული. ყვარყვარე დაუჯერებს დედოფალს, მოაშორებს მართას მის პატარა შვილს, შემდეგ მას განდევნის სოფლიდან. მიუხედავად ასეთი ტანჯვისა, მართა მაინც თავგამოდებით ერთგული რჩება ყვარყვარესი. ეს ერთგულება მონური არ არის, არამედ ემყარება უსაზღვრო სიყვარულს, როგორც ადამიანის უდიდეს დადებით თვისებას.

მართა ღირსეულად შეასრულებს ამ გამოცდას. მართას ასეთი მორალური სიძლიერე დედოფალ რუსუდანს აიძულებს მის წინ მუხლი მოიყაროს. როდესაც მართა გაიგებს, რომ ეს ამბავი განგებ, მის გამოსაცდელად იყო მოწყობილი, იგი ყვარყვარესაგან შეურაცხოფილად გრძნობს თავს. „მე შენ გალმერთებდი, — მიმართავს იგი ყვარყვარეს, — რა მიუგე პასუხი ჩემს სიყვარულსა? როგორ? შენ ჩემს სიყვარულზე ეჭვი შეიტანე? არა, შენ სრულებით არ გყვარებივარ. მე უგუნურმა როგორ ვიფიქრე შენი ცოლობა? მე, მენახშირის ქალი, ტყეში დავიბადე და ტყეშივე უნდა მოვკვდე“.

ფინალში ყვარყვარე მართას შენდობას და დანაშაულის პატიებას სთხოვს შვილის სიყვარულისათვის და მართა, ავტორის რემარკით: „ველარ დაიჭერს თავსა და მოეხვევა ყვარყვარეს“.

ეს „კეთილი ბოლო“ სრულიად არ აქარწყლებს პიესის დედა-აზრს, რომელიც ააშკარავებს ფეოდალური ფენების დაცემულობასა, ორპირობასა და ვერაგობას. პიესა დიდ სიმაღლეზე აყენებს გლეხი ქალის მორალურ ძალას — სიმაყეს, სიყვარულის სიფაქიზეს, ერთგულებას.

არა ნაკლები საინტერესოა ამ მხრივ აგრეთვე მართას მამის ტიპიც.

ასეთი იყო გიორგი ერისთავის დრამატურგიის სოციალური ბუნება. ამის შემდეგ ცხადია, თუ რატომ აუმხედრდნენ მას მმართველი წრეები და რატომ მოუსპეს არსებობა მის თეატრს.

საინტერესოა ფაქტი, რომ 1856 წელს მეფის ნაცვალის კანცელარიიდან პეტერბურგში განსახილველად და დასამტკიცებლად გაგზავნილ 26 ქართული პიესის სიაში ჩვენ ვერ ვხედავთ „გაყრას“ და „დავას“. ჩვენ გვგონია, რომ ეს პიესები აკრძალული იქნა და ამ საკითხში ალბად ადვილად ვაპოვნიხს საერთო ენა იმ დროის ხარიტონ ფილიპიჩებმა და ამირინდო-ონოფრეებმა.

გიორგი ერისთავის თეატრმა და დრამატიულ ნაწარმოებებმა ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადეს ქართული თეატრისა და დრამატურგიის შემდგომ განვითარებას და ამით საპატიო ადგილი დაიკავეს ჩვენი კულტურის ისტორიაში.

ლეო ქიაჩელის მხატვრული მეთოდი

ერ. ასტვაცატუროვი

ლეო ქიაჩელი ქართულ მხატვრულ პროზაში სოციალისტური რეალიზმის სტილის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელია. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა დაახლოვებით ოცდაათი წლის წინად და თავიდანვე მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო სოციალური პრობლემების მახვილი მხატვრული ასახვით. ქიაჩელის პროზისათვის დამახასიათებელია ფაქტიური მასალისა და ადამიანის სულიერი სფეროს ღრმა ცოდნა, მოვლენების ასახვის უშუალობა და მებრძოლი პათეტიკა.

ლეო ქიაჩელმა თავიდანვე გამოამჟღავნა დიდი ბელეტრისტული შესაძლებლობა და სხვა მწერლებთან ერთად წილად ხვდა მას გაეგრძელებინა რევოლუციური რომანტიზმის საუკეთესო ტრადიციები, აღედგინა მხატვრული პროზის კლასიკური სისადავე, გაენთავისუფლებინა ის მაღალფარდოვან და გაცვეთილ ფრაზებისაგან და მოეხდინა სტილის ღრმა დემოკრატიზაცია. ლეო ქიაჩელის მხატვრული სტილისათვის, მისი ნოველებისა და რომანებისათვის დამახასიათებელია სისადავე და იდეური სიმძაფრე, დრამატიზმი. არც ერთ თანამედროვე პროზის ოსტატს არ ახასიათებს სტილის ისეთი პრინციპული მთლიანობა და თანამიმდევრობა, როგორც ქიაჩელს. მწერლის მხატვრული თავისებურებანი ძირითადად ყოველთვის გამომდინარეობენ მის იდეურ მიზანდასახულებიდან, ნაწარმოების საზოგადოებრივ განპირობებიდან. ცალკეული გადახვევანი გვხვდება, როგორც ისეთი გამონაკლი მოვლენები, რომლებსაც არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მის ძირითად სტილობრივ მიმართულებაზე.

რეალისტი მწერლისათვის მთავარია ცხოვრების რეალური მოვლენებისა და ადამიანის ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა, მათ შორის კანონზომიერი ურთიერთობის დამყარება და ტიპიური თვისებების აღმოჩენა. მწერალი, კერძოდ რომანისტი ფართოდ უნდა იცნობდეს ცხოვრებას და ფლობდეს ადამიანის სულს, იცოდეს ამ უკანასკნელის ინდივიდუალური გამოვლენის გზები. ლეო ქიაჩელი მხატვრული აზროვნების ფართო გზაზე გამოვიდა ამ დიდი ღირსებით აღჭურვილი. მისი ადრინდელი რომანი „ტარიელ გოლუა“ პირველ სტრიქონებიდანვე აგრძნობინებს მკითხველს, რომ ავტორი კარგად იცნობს მასალას, სიმართლითა და დიდი მხატვრული დაკვირვებით აღწერს ყოველ „დეტალს“. აქ თავიდანვე იწყება მკითხველის მოკრძალება მწერლისადმი, იგი ენდობა მას და დაჯერებითა და ინტერესით მიჰყვება რომანის ფაბულარულ გამძაფრებას და პერსონაჟის იდეურ-ფსიქოლოგიურ ევოლუციას. ასევე უნდა ითქვას მწერლის საუკეთესო ნოველებზე და მის უკანასკნელ რომან „გვადი ბიგვა“-ზე. ამ ნაწარმოებებში ვეცნობით ნამდვილ ცხოვრებას, ისინი გვიხსნიან ახალ მხატვრულ სფეროს ისტორიულ წარსულისა, და თანამედროვეობის სიმართლის შესაცნობად, ამდიდრებენ ჩვენს ცნობიერებას ფაქტიური ცნობებითა და ლოგიკური დასკვნებით, უკეთესის შეგრძნობის უნარით. ამაშია ქიაჩელის შემოქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ცოტაა იმ ცხოველი ინტერესისათვის, რომელსაც იწვევს ჩვენში მწერლის თვითეული ნაწარმოები პირველ სტრიქონებიდანვე. ქიაჩელის მხატვრულ შემოქმედებას გააჩნია მრავალი თავისებურება. ამ თავისებურებებშია მისი მკითხველზე ემოციური ზემოქმედების ძალა და მხატვრული მნიშვნელობა.

პირველყოვლისა ხაზი უნდა გაესვას მწერლის შემოქმედების იდეურ მხარეს. ლეო ქიაჩელის ნაწარმოებს ახასიათებს გარკვეული იდეური მიზანდასახულობა. მწერალი ამოცანად ისახავს ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლას და ადამიანის იდეურ-მორალურ ამაღლებას. ამ ამოცანის გადაწყვეტას იგი ისტორიულად უყურებს, იძლევა მოვლენების საზოგადოებრივი განვითარების შესატყვის იდეურ გაშუქებას, ჰქმნის ტიპიურ-მხატვრულ სიტუაციებს, წინააღმდეგობებს, ტიპიურ სახეებსა და კონფლიქტებს. ქიაჩელს, როგორც მწერალს, ადამიანი უყვარს და მისი ბედი აინტერესებს. ბელეტრისტის ყველა ნაწარმოებში ცენტრალური ფიგურა არის ადამიანი. ადამიანების საშუალებით გვაცნობს ის ცხოვრების ყოველ მხარეს. მაგრამ მისთვის ადამიანი არ არის განყენებული და ზოგადი ცნება. იგი კარგად ხედავს სოციალურ განსხვავებას ადამიანებში. ბოროტებას და სიკეთეს უყურებს, როგორც სოციალურ მოვლენებს („ტარიელ გოლუა“, „სისხლი“, „ჯიუტი“ „ჰაკი აძბა“, „გვადი ბიგვა“ და სხვ.) და ყოველგვარი ბოროტების მოსპობისათვის აუცილებლად მიაჩნია სოციალური უკუღმართობის ძალდატანებითი დამსხვრევა.

მაგრამ ლეო ქიაჩელის მხატვრული აზროვნების რევოლუციური მხარე მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რომ იგი ბოროტებას უყურებს, როგორც სოციალურ კატეგორიას. მას სწამს ადამიანის ძალა და როლი საკუთარი მდგომარეობის გარდაქმნისათვის ბრძოლაში. ამიტომ მწერალი არ კმაყოფილდება სოციალური ბოროტების დაგმობით, რევოლუციამდე გაბატონებული ბურჟუაზიულ-მემამულური ურთიერთობისადმი სიძულვილით, მას მიჰყავს მშრომელი მასა პრაქტიკული დარწმუნების, ჩვენების გზით საკუთარი როლის შეგნებამდე და მოჰყავს მოძრაობაში, აბამს თავისუფლებისათვის შეგნებულ ბრძოლაში („ტარიელ გოლუა“), ხოლო გამარჯვებული სოციალიზმის დროს ადამიანი თვითონ ჰქმნის საკუთარ ბედნიერებას, მისი პატიოსანი შრომა არის სიმდიდრისა და საამური ცხოვრების დაუშრეტელი წყარო. იგი აღვიძებს და აქეზებს აქტივობას, კოლექტიური საქმის სიყვარულს თანამედროვე ადამიანში („გვადი ბიგვა“).

ეს არის ლეო ქიაჩელის შემოქმედების არსი, მისი სული. მწერლის მხატვრული მეთოდი, მხატვრული მანერა, ყველა კომპონენტი, რომლებიც განსაზღვრავენ ავტორის მხატვრულ ოსტატობას და მის ორიგინალობას, ემსახურება ამის გამოხატვას.

ლეო ქიაჩელი რეალისტი, დიდი მხატვრული ზომიერების გრძნობით აღჭურვილი და ლაკონიური სტილის მწერალია. როგორც რეალისტი, ქიაჩელი თავისი ნაწარმოებებისათვის ფაქტებს, მასალას უშუალოდ სინამდვილიდან იღებს, მაგრამ მათ უდიდესი გემოვნებით არჩევს, ამდიდრებს საკუთარი ფანტაზიით და გვიჩვენებს ახლებურად.

გარდა იმისა, რომ კარგი მხატვრული ნაწარმოებისათვის ყველა ფაქტი არ გამოდგება და მათ დაკვირვებითა და გემოვნებით უნდა შერჩევა, ქიაჩელისათვის თვით თავისთავად აღებულ ფაქტებსაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მრავალ ფაქტებიდან იღებს ზოგად თვისებებს, საერთო მოვლენებიდან იჭერს შინაგან ინტიმს და ამ გზით ჰქმნის ტიპიურ სურათებსა და განწყობილებებს, ისე როგორც ლირიკოსი პოეტი, რომელიც გვიხატავს არა ნახულის პორტრეტულ სურათებს, არამედ ნახულით გამოწვეულ განცდებსა და შთაბეჭდილებებს, იმ განსხვავებით, რომ ქიაჩელი ინარჩუნებს ეპიურ სიდინჯეს, ზომიერებას და იცავს ლოგიკურ თანამიმდევრობას.

ლეო ქიაჩელის ყოველ ნაწარმოებს საკითხავად საინტერესოს ხდის კერძოდ ის გარემოება, რომ ავტორი საგანს, მოვლენას ახალი კუთხით გვიჩვენებს და ხშირად „დეტალების“, „პატარა“ ამბების საშუალებით ჰქმნის დიდი მოვლენის რეალურ და დამაჯერებელ ილუზიას, წარმოდგენას. წვრილმანს გვიხატავს როგორც დიდი მოვლენის ბუნებრივ და კანონზომიერ ნაწილს, ათბობს მას დიდი მოვლენის ცეცხლით და ამ გზით არაჩვეულებრივად აძლიერებს ნაწარმოების შინაგან დრამატიზმს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოკლე, მაგრამ მძაფრი ფსიქოლოგიური ნოველები.

ლეო ქიაჩელის რომანებისა და ნოველების სტილი სადაა, ნათელი და მაღალმხატვრული. მწერალი არასოდეს არ მიმართავს ფაბულის ხელოვნურ გართულებას. ფაბულის ხელოვნური გართულება აბნელებს და აბუნდოვანებს ნაწარმოების სიუჟეტს, იგი ხშირად გაუგებარს ხდის მწერლის იდეას. ამიტომ ქიაჩელი მთლიანი მიზანდასახულების მხატვრული გამოსახვისათვის მიჰყვება ნათელ რეალისტურ გზას, იგი იშვიათი ოსტატობით აღწევს ფაბულის თანდათანობით „გამართივებას“. ყველა მხატვრული სახე, „კომბინაცია“ საბოლოოდ გასაგები ხდება მკითხველისათვის, ისე რომ მწერალი არც ერთ ზედმეტ განმარტებას, მითითებას, აღწერას არ მიმართავს. საერთოდ უცხოა ქიაჩელისათვის გადაჭარბებული გარეგნული აღწერილობა, როგორც პერსონაჟის ინდივიდუალური თვისებებისა, ისე ბუნების, საგნების და ყოფითი და სოციალური ფონისა. აქაც იგი დიდ ზომიერებასა და მხატვრულ გემოვნებას იჩენს, რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხით ნათელ წარმოდგენას იძლევა აღწერის ობიექტზე. მისი ტიპები ყველა ნაწარმოებებში სულ რამოდენიმე სიტყვით არიან აღწერილნი, მაგრამ მათი ცოცხალი სახეები მაინც რელიეფურად გამოიყურებიან. მაგალითად „გვადი ბიგვაში“ შედარებით უმნიშვნელო, ეპიზოდური ადგილი უკავია ელიკოს. მწერალი მოკლედ აღწერს მას, მაგრამ ისე დამახასიათებლად, რომ ეს მიმზიდველი სახე ცოცხლად წარმოგვიდგება: „ელიკო ჯანმრთელი, ლოყებღაულაჟა და მკვრივად შეკრული გოგო იყო, ცეცხლის ალივით დაუდეგარი და მოძრავი. ქუჩუნა თვალები ყოველთვის დანამული ჰქონდა, ვარსკვლავივით უბრჭყვიალებდნენ, ხოლო მუდამ მხიარულ, მოღიმარ სახეზე ცელქი ეშხი უთამაშებდა“.

გაზაფხულის ბუნებას სულ რამდენიმე სტრიქონით გვიხატავს:

„დილის მზეს ვერცხლოვანი განთიადი ოქროთი მოევარაყებინა და დედამიწაზე სამეჯლისო ზარი დაერეკა.

„მთა ყურთმაჯიან კაბაში მოკაზმულიყო, ტყე ნაირფერის აბრეშუმივით მორთულიყო და გულდია ველს მწვანე ხავერდით მოექარგა თავისი მკერდი“.

აქ მწერალი იშვიათ „სიძუნწეს“ იჩენს სიტყვიერი მასალისა და ფერების ხმარების მხრივ. მიუხედავად ამისა იგი წარმატებით აღწევს მიზანს და ცოცხლად წარმოგვიდგენს გაზაფხულის მიმზიდველ სურათს. სიტყვების კანონზომიერი და მკაცრად მიზნობრივი ხმარება დიდად ემოციურს ხდის სურათს.

უაღრესად შემჭიდროვებულია და დახვეწილი ქიაჩელის არა მარტო ნოველები, არამედ რომანებიც. იქ არ არის არც ერთი ზედმეტი ფრაზა, ზედმეტი სურათი, ზედმეტი ადამიანი. არა მარტო ადამიანს, ყოველ საგანს ზუსტად მოფიქრებული ადგილი უკავია მის რომანში. არ შეიძლება იქიდან რომელიმე მათგანის ამოღება, ან გადანაცვლება.

ლეო ქიაჩელი ასევე „ძუნწი“, სადა და ლაკონიურია ფრაზის ჩამოყალიბების დროსაც. ლაკონიზმი ბელეტრისტიკაში ყველაზე რთული საქმეა. იგი საჭიროებს დიდ გემოვნებას, მახვილ მხატვრულ ალღოსა და პოტენციას. მხატვრული სახის, სიტუაციის გადმოცემის, ან ფრაზის აგების დროს მრავალი სიტყვის მაგიერ მწერალმა უნდა იხმაროს რამდენიმე სიტყვა, ისე, რომ არაფერი დაჰკარგოს მხატვრულმა სახემ, დაცული იქნეს ლოგიკური მთლიანობა მისი თანდათანობითი ჩამოყალიბების დროს. ამ შემთხვევაში დაკვირვებასთან ერთად საჭიროა ბუნებრივი მხატვრული ნიჭიც და ოსტატობა.

ლეო ქიაჩელი, როგორც პროზაიკოსი, მნიშვნელოვანია კერძოდ იმით, რომ იგი შემქმნელია მრავალი ისეთი ტიპებისა, რომლებიც დიდხანს დარჩებიან ჩვენს ლიტერატურაში და შეინარჩუნებენ აქტიურ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ემოციურ ზემოქმედებას. პროზის ოსტატი ფასდება არა ნაწარმოების მოცულობის მიხედვით, არამედ იდეებით, ტიპიურ გარემოებათა და ორიგინალური ტიპიური სახეების შექმნით. ბელეტრისტმა ფართოდ უნდა ასახოს აღებული ეპოქის დამახასიათებელი სოციალურ-საზოგადოებრივი მოვლენები და დაგვიხატოს ისეთი ადამიანები, რომლებშიც გადმოცემული იქნება თავისი დროის ადამიანთა სულიერი სამყარო, ძლიერი და სუსტი მხარე, და რომლებიც ყველა დროში თანაბარი ძალით გვაგრძნობინებენ ეპოქის სუნთქვას. ბელეტრისტულ ნაწარმოებებში ყველაზე რელიეფურად უნდა სჩანდეს ეპოქის რიტმი. ამ მხრივ ლეო ქიაჩელი ჩვენს მწერლობაში ერთი პირველთაგანია. ის არის შემომქმედი ცოცხალი და ამაღელვებელი ტიპებისა. მან გაამდიდრა და გააფართოვა ქართული მწერლობის მიერ შექმნილ ტიპების გალერეია.

ლეო ქიაჩელის განსაკუთრებულ მხატვრულ ნიჭსა და ოსტატობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ იგი თავის პატარა ნოველებში ახერხებს დატიოს დიდი აზრები და განცდები, და 10-15 ფორმიან რომანში დაგვიხატოს ტიპიური ცხოვრება დასრულებული მოვლენებით, მომქმედ პირთა ინდივიდუალური ხასიათებითა და სრულყოფილი სახეებით. ქიაჩელის რომანებში და ნოველებში ასახულია ჩვენი ხალხის წარსული და დღევანდელი ცხოვრების ამაღელვებელი და მიმზიდველი ეპიზოდები, იქ ჩაქსოვილია ახალის გრძნობა, მომავლის იმედი, ლტოლვა უკეთესისაკენ, სიყვარული ადამიანისა და სიკეთისადმი, სიყვარული ბედნიერი დღევანდელობისა. ქიაჩელის ნაწარმოებებში ისტორიული აუცილებლობით გადიან ცხოვრების ასპარეზიდან დრომოჭმული კლასები თავიანთ ადამიანებით, ტრადიციული ჩვევებითა და მორალით. ცხოვრებას ეპატრონებიან და მართავენ სისხლჭარბი და სიცოცხლით სავსე ადამიანები იმ კლასისა, რომელსაც ისტორიამ კაცობრიობის ბედი ჩააბარა.

ლეო ქიაჩელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც გულწრფელი მომღერალი თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხისა. ხალხისა და თავისუფლების გულწრფელმა სიყვარულმა რომანტიკულმა გატაცებამ სოციალისტური ცხოვრებისადმი ადვილად დააძლევინა მწერალს ზოგიერთი გადახვევები თავის ძირითად შემოქმედებითი გზიდან და მისი მხატვრული სიტყვა იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი გახადა. გაბედული და ორიგინალური გზით მოვიდა ლეო ქიაჩელი საბჭოთა ლიტერატურაში და გახდა სოციალისტური რეალიზმის სტილის მოწინავე მწერლად.

საღამო ზღვაზე

კონსტანტინე ჭიჭინაძე

ზღვა არ იძვროდა. ძლივს გადიხარა
დასავლეთისკენ მზე ალგზნებული.
იბრძოლა, მაინც მოძალებული
ღრუბლის ქულები ვერ გადიყარა.
ერთი მათგანი დიდხანს ებურა;
მერე გახსნილი წითლად იყურა
გამოაჩინა და ჩაიარა
ლურჯად, იისფრად, ლალისფრად
გალივებული ფანჩატურები
როდესაც დისკო გამოჩნდა სრულად,
წინ დახვდა კიდევ ორკაპი ქულა,
ვით აცქვეტილი ცხენის ყურები.
მალე იგივე ნისლი რღვეული,
წერწეტ ფრინველად გადაქცეული,
ასვეტილი და თავაწეული,
გამეწამულდა მაღლა ყურებით;
გადაეკეცა კისერი მკვდარი
და მზე გახადა სატურნის დარი.
ბოლოს ბორბალი, ძირს დაშვებული,
გადაწმენდილი, გადიდებული,
ალახლახებულ სხივების ფრქვევით
დასწვდა სტიქიონს განაბულს ქვევით...
სანახაობა მცირე ხანისა
ელავდა ზღვის და ცის დასავალზე:
თითქოს მოსჩანდა ფართო ტრამალზე
ოქროს კარავი ჩინგიზ-ხანისა.
აფეთქდა უცებ მომწვანო შუქი
და დაიმალა ცეცხლის ხარვეზი.
ზღვა ჩაიფერფლა, ჩაჰქრა ქარვები,
წამოიშალა თირები მუქი —
მწუხრი, მოძულე წვისა და გზნების...
სთვლემდა კალთები აჭარის მთების,
აყვავებულის, ჩუმის, დინჯისა.
ღამე ჯერ კიდევ შორს იყო ბნელი,
გარს იფრქვეოდა სურნელი ნელი
ჩაის ბუჩქების და ნარინჯისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალო, ქვეყნის მშვენებავ!

თავი პოემიდან „გმირთა დიდება“

სოლომონ თავაძე

მოსწყდა, თავქვე დაეშვა
ორი ათას მეტრიდან;
შეიკუმშა გული და
თითქმის ძგერა შეწყვიტა.
მიჰქრის, როგორც შურდული,
მიჰქრის, მიეტანება,
ჰაერი კი შხივილით
ტანზე მძაფრად ადნება.
ახანგრძლივა ნახტომი,
ვიდრე სუნთქვას შესძლებდა,
მერმე კი რგოლს ჩამოჰკრა,
აიტაცა ლვედებმა.
შეისვენა; პირზე სუსხს
სივრცე აღარ ახლიდა,
ფრთაგაშლილი ორბივით
მიწას დასცქერს მაღლიდან. —
ქალო, ქვეყნის მშვენებავ,
დილის სხივით მოსილო,
რა იქნება ისეთი,
შენ არ დაიმორჩილო!
გშვენის მზისფერ დროშების
და სამშობლოს იერი;
ჯერ არსად არ შობილა
ქალი შენზე ძლიერი!
ვინ გაბედოს, აღიძრას,
შენს გზას შემოედოს!
სატრფოვ, სულზე უტკბესო,
საყვარელო დედაო!
ილი, მიწას ღიმილის
ყვავილებით დაჰფარავ;
ალერსს მონატრებული
გელის შენი პატარა.
მიხვალ, ეტყვი — მომლოდეს,
გულო, შენთვის ვჭედაო.
სატრფოვ, სულზე უტკბესო,
საყვარელო დედაო!

ფეხს დაადგამ მიწას და
ხედავ — გაბრწყინებულა
თავგანწირულ ბრძოლაში
რაც კი დამიწებულა;
მზის სხივების ციმციმით
უჭკნობ ბაღში შედიხარ,
მღერის, მაგრამ იადონს
ენატრება შენი ხმა.
შენი თვალის კამკამი
ნეტავ ვის არ მოსწყურდეს;
ვარსკვლავი ხარ ცისკრისა,
ყველა შენ შემოგყურებს;
ყველა ამბობს — ფრთას გვასხამს
მისი შემოხედვაო, —
სატრფოვ სულზე უტკბესო,
საყვარელო დედაო!
თეთრი ღრუბლის ქულაა,
ნისლია, თუ ზმანება?
მერი დედამიწისკენ
მიჰქრის, მიექანება.
ხედავს, მაგრამ თავისთავს
მაინც ვერ გაუმხილა,
რომ ამ ველურ მიდამოს
ჯერ კაცი არ უხილავს.
სწრაფად უახლოვდება,
მიწა მისკენ გამორბის:
უდაბური ტყეები
და მზარავი ჭაობი.
აი, ხეთა წვერები
ზეაწვდილან ეშვებად;
სახეს მკლავით იფარავს
და ტოტებში ეშვება.
დაეკიდა და ხის ტანს
მოხვდა მწვავე კვეთებით...
მერმე დანით შემოჰკრა
პარაშუტის ლვედებს.

ვინ არის „ნარგიზოვანის“ ავტორი?

პროფ. კ. კეკელიძე

„ვეფხის-ტყაოსნის“ შესავალში, სადაც პოეზიის შესახებაა ლაპარაკი, რუსთაველმა ნამდვილი პოეტის სახელი ეპიკური ჟანრის მოშაირეს მიაკუთვნა, ისიც მხოლოდ ისეთს, რომელსაც „ძალუც ხრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“. ამასთან ერთად მან აღნიშნა არსებობა სხვა, წმინდა ლირიკული ჟანრის მელექსეებისაც, რომელთაც, მიუხედავად ამისა, რომ მათი ნათქვამი ჩვენ „გვიამებს“, „მოშაირე არა ჰქვიან“, ვინაიდან, ერთის მხრით, ისინი „გრძლად ვერას იტყვიან“, მეორეს მხრით—მათი ლექსი „კარგია“ მხოლოდ „სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“. რუსთაველი, როგორც ვიცით, კანონმდებელი შეიქმნა მთელი მომდევნო ქართული პოეზიისა, ამიტომ საკვირველი არაა, რომ მისმა დეკლარაციამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო: ჩვენში დაკანონდა გრძელი, „გულის გამგმირავი“ ეპიკური ჟანრის ნაწარმოები, ხოლო „სანადიმო, სამღერელ, სააშიკო, სალაღობო“ პოეზიას ან მოკლე, მსუბუქ, ფრივოლურ ლირიკულ ლექსებს ოფიციალურ ლიტერატურაში კარები საბოლოოდ დაეხშო, საჭირო შეიქნა საუკუნეები, რომ ლირიკული ჟანრის ამგვარ პოეზიას გარკვეული ადგილი მოეპოვებინა ჩვენს ლიტერატურაში.

მართლაც, პირველ პოეტად, რომელმაც რუსთაველური ტრადიცია, დაარღვია და ოფიციალურ ლიტერატურაში აღნიშნული ჟანრის ლირიკასაც მოუპოვა ადგილი, ჩვენ ამდენ ხანს მიგვაჩნდა მამუკა ბარათაშვილი (მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის პოეტი). პროფ. ა. ბარამიძემ ცოტათი წინ გადმოსწია ეს ახალი მოვლენა ლიტერატურაში და ასეთ ნოვატორად მიიჩნია მამუკას უფროსი თანამედროვე საბა-სულხან ორბელიანი რომლის „ქილილა და დამანას“ ერთს ლექსში („ქალი“) ილმოაჩინა ამ ნოვატორობას ელემენტები კომპოზიციის, მეტრისა და რიტმის მიმართულებით1).

ახალი დაკვირვება ერთს ცნობილ ლიტერატურულ ფაქტზე საშუალებას იძლევა ხელახლა დაისვას ეს საკითხი და მიღებულ შეხედულებაში მცირეოდენი შესწორება იქნას შეტანილი. მხედველობაში გვაქვს ლირიკული ლექსების კრებული, რომელსაც „ნარგიზოვანი“ ეწოდება ეს კრებული, რომელიც ეხლა უკვე გამოცემულია2). შეიცავს თერთმეტს სხვადასხვა კომპოზიციის, მეტრისა და რიტმის სატრფიალო ლექსს. ავტორი ამ ლექსებისა, რომელნიც შემოუნახავს მეთვრამეტე (1) და მეცხრამეტე (4) საუკუნის ხელნაწერებს, ცნობილი არაა, ამიტომ არც კრებულის წარმოშობის დროა საბოლოოდ გარკვეული. 1924 წელს ჩვენ ამის შესახებ ვამბობდით: „ეს ნაწარმოება, რომელიც მეტად ჰარმონიული, ლამაზი და მგრძნობიარე ლექსითაა დაწერილი, ნათქვამი უნდა იყოს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს, როდესაც მამუკა ბარათაშვილმა, 16-მარცვლიანი ლექსის ბატონობის შერყევის შემდეგ, დააკანონა, ხოლო დავით გურამიშვილმა და სხვებმა განახორციელეს კიდეც და იწყეს წერა სხვადასხვა საზომით: 7, 8, 10, 15, როგორც აქ, და მარცვალთა სხვა რაოდენობით; არჩილის დროს ამ საზომით ჯერ კიდევ არ სწერდნენ. თან მის დროს არ იწერებოდა ისეთი შინაარსისა და მოტივის ლექსები, როგორიცაა „ნარგიზოვანი“. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენ არ ვიცით არც ერთი ხელნაწერი ამ ნაწარმოებისა, რომელიც არა თუ მე-17 და მე-18 საუკუნის, მეცხრამეტის ფარგლებიდან გამოდიოდეს („ქართული ლიტერატურის ისტორია“ II, 421, შენიშვნა3). პროფ. ა. ბარამიძემ თხზულების გამოცემაში (გვ. 9-13) ეს მოსაზრება უფრო დააზუსტა და მისი დათარიღების მიზნით შემდეგს მონაცემებს მიმართა: „ნარგიზოვანის“ მერვე ლექსი „ქართლი შვენიერია“ ფორმალურად უნდა მომდინარეობდეს „ქილილა და დამანაში“ მოთავსებული საბა-სულხან ორბელიანის ლექსიდან „ქალი“, მაშასადამე, მეთვრამეტე საუკუნის ოციან წლებზე ადრე ის ვერ დაიწერებოდა. მეორეს მხრით, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერში № 28 (იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან), რომელიც შეიცავს „ჩარ-დავრიშიანს“ და „ნარგიზოვანს“, აღნიშნულია, რომ ის გადაწერილია 1785 წელს, მაშასადამე, 1785 წელი ის წელია, რომლის შემდეგ თხზულება ვერ დაიწერებოდა, ასე რომ „ნარგიზოვანი“ დაწერილად უნდა ვივარაუდოთ 1720-1785 წლებში

სპეციალური დაკვირვების შემდეგ, ამჟამად იძულებული ვხდებით უარი ვთქვათ ჩვენს წინანდელ შეხედულებაზე. ის გარემოება, რომ თხზულება მხოლოდ მე-18—მე-19 საუკუნეთა ხელნაწერებში გვხვდება, კიდევ არა კმარა იმის სათქმელად, რომ ის მე-18 საუკუნეზე ადრე ვერ იქნებოდა დაწერილი. ამ გზით რომ ვიმსჯელოთ, მაშინ „ვეფხის-ტყაოსნისა“ და კლასიკური ხანის სხვა თხზულებათა დაწერა მე-17 საუკუნეში უნდა გადმოვიტანოთ, რადგან მათი შემცველი ხელნაწერები მე-17 საუკუნეზე ადრე არ მოგვეპოვება, ანდა თეიმურაზ პირველი მე-18 საუკუნეში უნდა გადმოვსვათ, ვინაიდან მისი ნაწერების ხელნაწერები მე-18 საუკუნიდან გვხვდება. არა კმარა ამის სათქმელად არც ის რომ „ნარგიზოვანის“ ლექსი „ქართლი შვენიერია“ მეტრული აღნაგობით, რიტმული ნაირობით, რითმული სისტემით, სტროფიკით და კომპოზიციური სხეულით ემთხვევა საბას ლექსს „ქალს“ განა არ შეიძლება იმისი დაშვება, რომ თვით საბა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია თუ „ნარგიზოვანზე“ არა, სხვა რომელიმე ამგვარ ლექსზე, რომელიც მანამდე ცნობილი იყო არაოფიციალურ ლიტერატურაში — ხალხურ შემოქმედებაში? განა ყველა ის სალექსო-საკომპოზიციო ფორმები, რომელნიც საბას „ქილილა და დამანაში“ მოეპოვება მისი მოგონილია? ყოველ შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვით შაირის, ჩახრუხაულის და ძაგნაკორულის შესახებ, ვერ ვიტყვით ამას აგრეთვე ვერც ფისტიკაურის შესახებ, რომელიც, სხვა არა იყოს რა, გამოუყენებია ჯერ კიდევ შირაზის ტყვეობაში მყოფს (1614-1624) ქეთევან დედოფალს თავის ელეგიაში „ამას ვსტირი ბნელსა მჯდომი“ (1512, გვ. 25-26, „Описание“ II, 200). საბა საერთოდ, როგორც ცნობილია, დიდად იყო დასესხებული შინაარსობრივად („სიბრძნე სიცრუისა“) ხალხური შემოქმედების საუნჯეს. რატომ არ შეიძლება იქიდანვე ესესხებინა მას პოეტური ფორმაც?.

ვინ არის ავტორი „ნარგიზოვანისა“? ზ. ჭიჭინაძე1) და იმაზე დამოკიდებით ა. ხახანაშვილი2) მას არჩილ მეფეს მიაწერდნენ; მაგრამ ეს სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, ვინაიდან არჩილის სახელით ეს თხზულება არსად და არასდროს არ ყოფილა ცნობილი, თან არჩილს ასეთი ჟანრის ლექსები არ უწერია, არც შეეძლო ეწერა, ვინაიდან როგორც დავინახეთ, ის პრინციპიალური წინააღმდეგი იყო ამგვარი ჟანრისა. ლენინგრადის ხელნაწერში „ნარგიზოვანის“ ავტორად ნაჩვენები ყოფილა ვიღაც ორბელიანი. მაგრამ არც ეს უნდა იყოს მართალი, ამგვარი ცნობა ხელნაწერში სრულიად შემთხვევით ან გაუგებრობის ნიადაგზე შეიძლებოდა გაჩენილიყო, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც ნამდვილი ავტორი ნაწარმოებისა საყოველთაოდ ცნობილი არ იყო3). ეს ცნობა რომ მართალი და დასაჯერებელი არ არის, შემდეგიდანა ჩანს. აღნიშნული ხელნაწერი თავის დროზე ჰკუთვნებია იოანე ბატონიშვილის მეუღლეს, ზურაბ წერეთლის ასულს, ქეთევანს, მაშასადამე, ის ხელთა ჰქონია თვით იოანე ბატონიშვილს. იოანე, ავტორი „კალმასობისა“, (ცნობილია, რომ დიდად განათლებული კაცი იყო, განსაკუთრებით მცოდნე მშობლიური ლიტერატურისა. ის კრიტიკულად მისდგომია თავისი ხელნაწერის ცნობას, არ მიუღია და არ დაუჯერებია ის, ამიტომ თავის „კალმასობაში“ „ნარგიზოვანის“ ავტორად ორბელიანს კი არ ასახელებს, არამედ სულ სხვა პირს. ვის სახელდობრ? „კალმასობის“ იმ თავში სადაც იოანე „ძველთა და ახალთა მოშაირეთ „ჩამოსთვლის, ნათქვამია: „ჩოლაყაშვილმან გარსევან გალექსა წიგნი ნარგიზოვანი“4). ამგვარად, იოანეს ცნობით, „ნარგიზოვანის“ ავტორი არის გარსევან ჩოლოყაშვილი.

ამასვე ადასტურებს მეორე კომპეტენტური მცოდნე ჩვენი ძველი მწერლობისა—არჩილ მეფე. არჩილი „რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასების“ შესავალში, სადაც საგანგებოდ ლაპარაკია „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“ შესახებ, ამბობს:

ჩოლოყაშვილსა გარსევანს უთქვამს
რამე-რამებია:
კიტრი ხილად რაღას ვარგა, ვაშლი
მოვა რაღ, ბიჰ!
ესევე სჯობს, რაც მასმია მისგან
მონახსენებია —
„გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი
გაუშტერებია“1).

გარსევან ჩოლოყაშვილის „მონახსენებთაგან“, ესე იგი თხზულებათაგან, არჩილს, სცოდნია, სხვათა შორის, „ნარგისთათვის“, ესე იგი ჩვენი „ნარგიზოვანი“.

ვინ არის გარსევან ჩოლოყაშვილი? არჩილის ცნობიდან ირკვევა, რომ გარსევან ჩოლოყაშვილს უცხოვრია და უწერია 1681 წლამდე, როდესაც ეს ცნობა დაიწერა. ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, ავტორი „ხილთა ქებისა“, მაშასადამე, დავუმატებთ ჩვენ, „ნარგიზოვანისაც“, გარსევან ჩოლოყაშვილი არის მოღვაწე 1517-1568 წლებისა2). მართალაც, მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს ცნობილია „სახლთუხუცესი კახი ბატონისა“ გარსევან ჩოლოყაშვილი, ნათესავი მეფის ავი გიორგის (მოჰკლეს 1514 წ.) ცოლის ელენესი. ავი გიორგის სიკვდილის შემდეგ ის დიდხანს მალავდა თავის სახლში მის მცირეწლოვან შვილს ლევანს, რომელიც, მისი დახმარებით, 1518 წელს გამეფდა კიდეც კახეთში3). ეს გარსევანი, არჩილის ზემომოყვანილი სიტყვების მიხედვით, „ნარგიზოვანის“ ავტორად მიაჩნია პლ. იოსელიანსაც4), მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნის გარსევან ჩოლოყაშვილი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას „ნარგიზოვანის“ ავტორად5). საქმე ისაა, რომ არჩილი გარსევან ჩოლოყაშვილს ასახელებს არა მეთექვსმეტე საუკუნის მწერლებში (ამ საუკუნიდან მას დასახელებული ჰყავს მხოლოდ ხოსრო თურმანიძე), არამედ მეჩვიდმეტისაში: ნანუჩა, ჯაგლაგი ფავლენიშვილი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ნოდარ ციციშვილი, გარსევან ჩოლოყაშვილი, სულხან თინიაშვილი, ბარძიმ ვაჩნაძე, სამებელი იაკობ, ფეშანგი ფაშვიბერტყაძე. არჩილს ის ნავარაუდევი ჰყავს არც ისე დაშორებულად თავის დროიდან. შესაძლებელია ამ დროს მართლაც მოიძებნოს ასეთი პიროვნება. იერუსალიმის სვინაქსრის „აღაპებში“ 16 იანვრის ქვეშ ვკითხულობთ: „ამასვე დღესა წირვაი და აღაპი საუკუნოი ირუბაქიძისა ჩოლოყაშვილისაი გარსევანისი; საუკუნოდ იყავნ ხსენებაი მისი გამოვზავნა ორასი გენეტიკური (ველოტიური) ფლური; ასისათვის აღაპი გაუჩინეთ და ასისათვის კანდელი დაუკიდეთ გოლგოთას ჩუენ, მამამან მიკიფორე და ძმათა და დათა ერთსულობით, და შემდეგ ჩუენსა ვინც იყვნეთ, გევედრებით ღმრთისათვის, ნუ ვინ დააკლებთ“1). მიკიფორე ან ნიკიფორე ჩოლოყაშვილი — ირბახი ჯვარის მამად იყო იერუსალიმში, როგორც გარკვეულია ეხლა, 1643-1649 წლებში2). მაშასადამე, ის გარსევან ჩოლოყაშვილი, რომელსაც შესაწირავის სახით ორასი ვენეტიკური ფლური გაუგზავნია მისთვის დაახლოვებით ამ დროის მოღვაწე ყოფილა, ეს დრო კი ზედმიწევნით უდგება არჩილის მიერ ნაგულისხმევის გარსევან ჩოლოყაშვილის, „ნარგიზოვანის“ ავტორის დროს. ამრიგად, გარსევან ჩოლოყაშვილი არის მოღვაწე მე-17 საუკუნის ნახევრისა და მისი „ნარგიზოვანიც“ ამ დროის ნაწარმოებია.

ეხლა ისმის საკითხი: შეიძლებოდა თუ არა მე-17 საუკუნის ნახევარში დაწერილიყო ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა „ნარგიზოვანი“? აი როგორ ახასიათებს „ნარგიზოვანს“ მისი გამომცემელი პროფ. ა. ბარამიძე: „ნარგიზოვანი“ იშვიათი ძეგლია ძველი ქართული მწერლობისა, იმაში მხატვრულად არის შერწყმული ძლიერი სატრფიალო გრძნობებისა და მხურვალე პატრიოტიკის ხმები. აქ სიყვარულის სიმძაფრე გადმოცემულია რაღაც იშვიათი სინაზით, გრძნობიერებით და სიცხოველით. ეს შინაარსის მხრივ; ფორმით, პოეტური ოსტატობით „ნარგიზოვანი“ სამაგალითოა. მისი თითქმის ყოველი თავი იძლევა ახალსა და თავისებურ რიტმს მეტრს, კომპოზიციას. ტრადიციული 16-მარცვლოვანი შაირის გვერდით გვხვდება 7, 8, 10, 11, 12, 13 და 15-მარცვლოვანი ტაეპებიც“ („ნარგიზოვანი“, გვ. 7).

შეიძლება თუ არა, კვლავ ვკითხულობთ მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში დაწერილიყო ასეთი შინაარსისა და ფორმის თხზულება? ნაადრევი ხომ არაა ეს ამ დროისათვის? ვფიქრობთ, შესაძლებელი იყო. შინაარსის მხრივ ეს ეჭვს არ იწვევს: პატრიოტული და სატრფიალო მოტივი, თუნდაც ნაზი და მძაფრი, ამ დროის მწერლობისათვის, როგორც ვიცით, უცხო არ არის. მეჩვიდმეტე საუკუნისათვის უკვე იჩენენ თავს მოკლე, მსუბუქი და ფრივოლური სატრფიალო ლექსები. მართლაც, „შაჰ-ნავაზიანის“ ერთადერთს, მე-17 საუკუნის ხელნაწერში ზოგიერთ გვერდზე თანამედროვე ხელით მოთავსებულია ლექსები და ნაწყვეტები, რომელთაც დღეს ვხვდებით ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში და რომელნიც მიჩნეულნი არიან როგორც ხალხური ლირიკის პიესები. მაგალითად:

ცის ქვეშა დაბადებული თქვენი ყველაი
ცუდია,
თქვენი ლაწვი და ბაგენი ყირმიზი
იაგუნდია;
სამოთხის სურნელობასა თქვენთანა
დაუბუდია,
ამდენი ხნის უნახავი ჩემთვის სიცოცხლე
ულოდია.
ბატონო, თქვენი თვალ-წარბი მწყაზარ
შავარდენს გიგავსო,
ელვარე პირი ბროლისა ცისკარის
მასკვლავს გიგავსო,
ალვა ტანი და ზეჭ-გვერდი გიშრის თმას
დაუფარავსო,
მკლავ-გმირი, ტან-ლერწამი ქმარი
ტარიელს გიგავსო.
ბაგენი ვარდსა მიგიგავს, დაუჭკნობელსა
მზისაგან1).

განა თეიმურაზ პირველის თხზულებებში ცოტა გვხვდება ასეთი ნაზი და მძლავრი გრძნობებით აღსავსე სატრფიალო სტროფები?

უფრო დამაფიქრებელია ფორმა „ნარგიზოვანისა“: მეტრი, რიტმი და კომპოზიცია, მისი სტროფიკა და მუხამბაზური რეფრენი, რომელიც ასე უხვად და ჭარბადაა აქ გამოყენებული. ვფიქრობთ ანაქრონიზმად არც ეს უნდა გვეჩვენოს მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრისათვის. ხომ არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მეთვრამეტე საუკუნემდე ჩვენში ხალხი მღეროდა სასიხარულო, გასართობ და სატრფიალო ლექსებს, მღეროდა ის ისეთს ლექსებსაც, რომლებშიაც ცხოვრების სიმძიმით შეწუხებული სულის კვნესა ისმოდა? და თუ მღეროდა, ამას ხომ ვერ ვიტყვით, რომ ასეთ ლექსებს ის ამბობდა უეჭველად მაღალფარდოვანი 16-მარცვლიანი შაირით და 20-მარცვლოვანი ჩახრუხაულით? ალბათ, იყო ხალხში მოკლე, მსუბუქი, სხვადასხვა მეტრისა და რიტმის სააშიკო, სალაღობო და გასართობი ლექსები, და რომ იყო, ეს სჩანს თვით „ვეფხვის-ტყაოსნის“ პროლოგიდან, სადაც დადასტურებულია „სანადიმო სამღერალი, სააშიკო, სალაღობო და ამხანაგთა სათრეველი ლექსის“ არსებობა (სტროფი 17), ერთის სიტყვით, არსებობა იმავე ხასიათის ლექსებისა, როგორიც „ნარგიზოვანში“ გვაქვს. ამას, სხვა არა იყოს რა, ადასტურებენ „ნარგიზოვანის“ რეფრენები. რეფრენი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ხალხური პოეზიისა. აქედანაა ის შემოსული მწერლობაში, თავდაპირველად სასულიერო პოეზიაში. რომ მე-17 საუკუნისათვის უცხო არ იყო მუხამბაზური, მუსტაზადური, თეჯნიშური, თახმისური და სხვა ამგვარი ხმის ლექსები (შეიძლება ამ ტერმინების ხმარების გარეშე), ამას ადასტურებს „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილიც. იქ ჩვენ ვკითხულობთ:

„პეტრე: სპარსისა და თურქეთის ხმაზედ ვითარიღა არიან შაირნი ანუ ლექსნი და ან ვის დროს შემოღებულნი?

იოანე: სპარსთა ხმით სიმღერა ისევ მათისავე ენითა და საკრავითაც არ იქნებოდა, რომ ძველადაც არა სცოდნოდათ ქართველთა მაგრამ არსად აცხადებს წერილი. ხოლო ოდეს როსტომ მეფემ მიიღო ქართლი, აძან დასდო სრულად სპარსთ კანონნი და წესნი.. და ამისთანა საკრავნიცა და სიმღერაც შემოიღო და გაამრავლა საქართველოსა შინა“1).

ამასვე ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც, რომელიც ამბობს: „როსტომმან მოიყვანნა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი სპარსეთიდან გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური.. აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი“ („ქართლის ცხოვრება“, II. 46).

ცხადია, მეჩანგეს, მგოსანს და სიმღერას როსტომ მეფემდეც (1633-1658) ისევე იცნობდნენ საქართველოში, როგორც უეჭველია, აბანოსა და კეკლუცობას, მაგრამ ყველაფერმა ამან როსტომის დროს განსაკუთრებით იჩინა თავი სპარსთა ზეგავლენით. ერთის სიტყვით, „ნარგიზოვანისებური“ პოეზია, ყოველ შემთხვევაში, მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრისათვის მოულოდნელი და შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო ჩვენში. მხოლოდ ოფიციალურ ლიტერატურაში თამამად და გაბედულად ჯერ ვერ ჩნდებოდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ, როგორც თავში ვთქვით, რუსთაველმა ამგვარ პოეზიას ნამდვილი პოეზიის სახელი წაართვა. შემდეგში ოფიციალური ქართული ლიტერატურა რუსთველის მიერ დაკანონებული გზით მიდიოდა—„ნარგიზოვანის“ ჟანრის პოეზიას ის ებრძოდა და გზას არ აძლევდა. წარმოიდგინეთ, თეიმურაზ პირველიც კი, რომელმაც თავისი „მაჯამითა“ და გაზაფხულ-შემოდგომით რამდენადმე შეარბილა რუსთაველის დეკლარაციის სისასტიკე, ზემოდან და მედიდურად დაჰყურებს „ნარგიზოვანისებურ“ პოეზიას, როგორც ნამდვილი პოეზიის ვულგარიზაციას და უბრალო „მოშაირობას“, როდესაც აცხადებს: „ბოლოდ სცნან ყოველთა, არა ვარ მოშაირეთა ძმობილი“2).

ასევე უყურებს ამ პოეზიას თეიმურაზ მეორეც, რომელმაც უფრო მეტად გადაუხვია რუსთაველის ტრადიციებს. ის ამბობს:

ვინ არის ჩემზე მეტყველი, შეტყობა
დია მსურისა:
თუ ვინმე დიდი კაცია, მიგდება უნდა
ყურისა,
არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირისა,
ჭიანურისა,
ზედან ემღერდეს შაირებს, ნათქვამს
ბისტიკას ცრუისა4).

---

1) „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, 290-294.

2). ა. ბარამიძე—„ნარგიზოვანი“, მე-18 საუკუნის ლირიკული პოემა, 1936 წ.

1) „ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში“, გვ. 22-23.

2) Очерки по истории грузинской словесности. вып. III. стр. 99.

3) ზ. ჭიჭინაძეს უნახავს „ნარგიზოვანის“ შემცველი ხელნაწერი, რომელიც გადაწერილი ყოფილა დიმიტრი ორბელიანის მიერ. ლენინგრადის ხელნაწერში № 28 გადამწერი ორბელიანი ხომ არ იქცა ამ თხზულების ავტორად?

4) „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, § 70, ცალკე ამონაბეჭდის 29-ე გვერდი.

1) „არჩილიანი“, ტომი, II, გამოცემა ა. ბარამიძისა, სტროფი 30

2) „ქართული მწერლობა მე-13 საუკუნიდან მეთექვსმეტემდე“, გვ. 28-30.

3) „ქართ. ცხოვრების“ მეორე გაგრძელება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი გვ. 908-911; „ქართლის ცხოვრება“, II, 105-106.

4) Род Князей Чолокаевых. стр. 9-10 прим. 3 Тбилиси. 1866

5) ზ. ჭიჭინაძემ არ იცოდა არსებობა სხვა გარსევან ჩოლოყაშვილისა. პლ. იოსელიანი აღნიშნავს მეორე გარსევან ჩოლოყაშვილს, ირაკლი I ნაზარალიხანის ქალის მარიამის (მონაზვნობაში მაკრინე) ქმარს („Род Князей Чолокаевых“ стр.13). მაგრამ, ჯერ ერთი, ეს სწორი არაა: მარიამის ქმარი იყო არა გარსევან ჩოლოყაშვილი, არამედ ედიშერ ჩოლოყაშვილი; მეორე, კიდევაც რომ აღმოჩნდეს 1681 წლის შემდეგ ვინმე გარსევან ჩოლოყაშვილი, „ნარგიზოვანის“ ავტორად მას ვერ მივიჩნევთ, რადგან ეს ავტორი 1681 წლამდე ცხოვრობდა.

1) Н. Марр—„Синодик Крестного монастыря в Иерусалиме стр. 41 §. 161 ხელნაწერში „მიკიფორეს“ მაგიერ შეცდომით ამოკითხულია „მაკარე“, მაგრამ აქ რომ „მიკიფორე“ იკითხება და არა მაკარე (ასეთი არც სახელია და არც ჯვარის მამა), სჩანს სხვა აღაპების ანალოგიური ტექსტიდან. მაგალითად: 84, 85, 43, ქარაგმით დაწერილი „მკ (ფ) რე“ წაკითხულია როგორც „მაკარე“.

2). კ. კეკელიძე—„ნიკიფორე ირბახი“, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, გვ. 146-147.

1) ა. ლეონიძე—„შაჰნავაზიანი“ გვ. IX.

1). „კალმასობა“, გამოცემა კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის, გვ. 295-296. ლეგენდა „დოშლაური“ გადმოგვცემს, რომ როსტომ მეფეს მცხეთაში ქეიფის დროს ართობდნენ „ბაიათებით“.

Новое обозрение. № 2419. А. Хаханов—„Очерки“, I 295.

3) „იოსებ-ზილიხანიანი“, სტრ. 3 ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოცემა.

4). „რუსთაველთან გაბაასება“, ანთოლოგია, II, გვ. 178, სტროფ. 12.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

აკაკის სამშობლოში

საჩხერის ჩრდილოეთით კლდოვან მთაზე აღმართულია საქართველოს ისტორიული ბრძოლების შესანიშნავი ძეგლი—„მოდი-ნახეს" ციხე. ამ ციხიდან იშლება იმერეთის პეიზაჟის სრული მშვენიერება. სამხრეთით „მოდი-ნახე" გადაჰყურებს ყვირილის მომხიბვლელ ჭალებს, რომლის ბოლოს თვალი სწვდება აკაკის საოცნებო სოფელს—სავანეს.

აკაკის ნათელამ ამ ჭალებში დაინახა პირველად „მოდი-ნახეს" სარკმელიდან ქართველი გმირი ცოტნე დადიანი, რომელიც ყვირილის გაგიჟებულ ტალღებში მოაგელვებდა ცხენს „პირთამზის" სანახავად.

„მოდი-ნახეს" ჩრდილო-აღმოსავლეთით თვალჩაუწვდენელი უფსკრული აკრავს, ამიტომ ამ მხარეზე სარკმელები და სათოფურები უფრო ნაკლებია, მაგრამ თუ თავმოღვეულ გალავნიდან გადაიხედავთ ლურჯი ფერის ალივლივი მოგჭრით თვალს. ყოველი მხრით დგანან დიდებული ლურჯი მთები და მწვერვალებიდან თეთრი ნისლი ასდით.

ამ მთებში ყველაზე დიდს—საფალავნიშვილის მთას, რომელიც რაჭამდე აღწევს, წვრილი ბილიკი სერავს. ძველად „მოდი-ნახეს" ციხიდან ხშირად მოსჩანდა ასეთი სურათი: ამ ბილიკზე მთელი კილომეტრებით ხტუნვით მიდიოდენ ადამიანები, ასკინკილით ზოგი მუხლებზე მიხოხავდა. ესენი იყვნენ რელიგიოზური ფანატიკოსები, რომლებიც გორიჯვარზე მიდიოდენ სალოცავად. დღეს ეს ბილიკი გაუქმებულია, მხოლოდ იშვიათად თუ გაივლიან აქ საბჭოთა ტურისტები, რომლებიც ამ გზით რაჭაში გადადიან. აი, ამ საფალავნიშვილის მთის ძირში მოქუხს აკაკის საყვარელი საკალმახე ხევის წყალი ჩიხურა. აქედან იწყება აკაკის სოფელი სხვიტორიც. ეს პატარა მდინარე ხან მქუხარებით მოდის, ხან სულს განაბავს—თითქოს მთის იქით გადაავდესო, მაშინ ხალხი ამბობს მდინარემ მიიძინაო. აკაკი წერეთელს აღტაცებით უყვარდა ეს მდინარე. იგი მას უკავშირებდა თავის პირველ ბავშურ სიხარულს, რომელიც პოეტის ხსოვნაში ჩარჩა, როგორც ყვავილის ფურცლებზე შეფრქვეული ცვარი. ამიტომ იყო, რომ აკაკიმ ასეთი შთაგონებით წამოიძახა ჩიხურას შესახებ: „ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე". ჩიხურას ჩხრიალში, მის ამწვანებულ ნაპირებზე, მინდვრის ყვავილებში — ყველგან ჟღერს პოეტის ხმა, რომელმაც უკვდავყო ამ მდინარის და ამ მიდამოს სახელი. ქართული პროზის შედევრში „ჩემს თავგადასავალში" პოეტი აგვიწერს თავის სახლს: — „სწორედ... ჩიხურას პირად, მაღლობზე, სდგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე — დარბაზისა და სისქე—ციხისა, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს... აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9-ივნისს, განთიადისას 1840-ში".

აკაკის სახლი დღესაც ისე გამოიყურება, როგორც ამ ასი წლის წინად. ოღონდ ირგვლივ როგორც ძველად; არ არტყია სამოახლო, საფარეშო, სახაბაზო და პატრიარქალური ცხოვრების დამახასიათებელი სხვა შენობები. სახლის წინ ისევ დგას კარის ეკლესია, კაკლის ხეები. ყველაფერი აქ ნაცნობია, ახლობელი, ყველაფერი პოეტის სახელთან დაკავშირებული.

აი, სახლის მთავარი დარბაზი. ამ დარბაზში იმართებოდა ფეოდალური სადილები, რომლის შესანიშნავი მხატვრული აღწერა აკაკი წერეთელმა დაგვიტოვა.

საქართველოში არც ერთი მწერლის და მოღვაწის რელიკვიები არ არის ისე კარგად შენახული, როგორც აკაკის. მისი ოთახი ხელუხლებლად დაცულია. პოეტის საწერ მაგიდაზე, რომელზედაც დაიწერა „თორნიკე ერისთავი" და „ნათელა" დევს უკანასკნელად გადაშლილი წიგნი, რამდენიმე სურათი და ამომშრალი სამელნე. აქვე დევს აკაკის კალმისტარი. პოეტის სასთუმალთან სკამზე ჩამქრალი სანთელია, ბუხრის თავზე გაჩერებული საათის ისარი პირველს აჩვენებს. ამ დროს ღამით შეწყდა პოეტის გულისცემა.

აკაკის სამუშაო ოთახის გვერდის კარი ქვის თაღებიან ძველებურ გრძელ აივანზე გადის. ეს იყო აკაკის ოცნების შთაგონებისა და დასვენების ადგილი. ძნელი არ არის ამ აივნიდან გაშლილი თვალწარმტაცი პეიზაჟების გამოცნობა აკაკის პოეტურ სალებავებში.

ქალაქის მღელვარე ცხოვრების შემდეგ პოეტი სხვიტორისაკენ მიისწრაფოდა. აქ ის მშვიდათ ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას. თავისი საუკეთესო ნაწერების უმეტესობა აკაკიმ სხვიტორში დასწერა. აკაკის სახლის დასათვალიერებლად ყოველდღიურად მოდიან მნახველები არა მარტო საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, არამედ საბჭოთა კავშირის შორეულ მხარეებიდანაც კი. სხვიტორში მთელი გასული თვის განმავლობაში მუშაობდა აკაკი წერეთლის შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც სხვა მიზნებთან ერთად ისახავდა აკაკის სახლისა და პოეტის სახელთან დაკავშირებულ მემორიალურ-ყოფითი ძეგლების შესწავლას.

იდეა აკაკის სამშობლოში სპეციალური ლიტერატურული ექსპედიციის მოწყობისა, რაც პირველი შემთხვევაა საქართველოში, პოეტის 100 წლის იუბილეს მოსამზადებელ მუშაობასთან დაკავშირებით წარმოიშვა. მოსამზადებელმა მუშაობამ ცხადყო, რომ საქართველოს უდიდესი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მთელი რიგი მომენტები სუსტად არის შესწავლილი. ამ ხარვეზის შესავსებად საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა მიავლინა საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში სპეციალური ექსპედიცია ერთი თვით შვიდი მეცნიერი მუშაკის შემადგენლობით.

ექსპედიციის ძირითადი ბაზა იყო სხვიტორი. ექსპედიციამ შეაგროვა ძვირფასი მასალა აკაკი წერეთლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესასწავლად, შეიძინა აკაკის კერძო წერილები, წიგნები ავტოგრაფიული წარწერებით, მემორიალური ნივთები და სხვა და სხვა ბიოგრაფიული დოკუმენტები, მათში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წერეთლების გენიალოგიური ტაბულა, პოეტის ძმის დავით წერეთლის მიერ შედგენილი. ექსპედიციამ შეაგროვა ბევრი შესანიშნავი სურათები, რომელთაგან ზოგი უნიკუმია, გადაიღო 60-მდე სურათი, ჩასწერა 50-ზე მეტი მოგონება.

ექსპედიციის ჩატარებული მუშაობა, მის მიერ შესრულებული და შეგროვილი მასალა მნიშვნელოვანი შემატებაა აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის მეცნიერულად დამუშავების საქმეში და ღირსეული საჩუქარი აკაკის ასი წლის იუბილესათვის. ამ მასალებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოგონებებს, რომლებიც ექსპედიციის წევრებმა ჩასწერეს პოეტის ნათესავების, მეზობლების, ახლობლებისა და გლეხებისაგან. გლეხობა აკაკის იგონებს უდიდესი სიყვარულით, როგორც ხალხის საყვარელ პოეტს, ხალხის გულის მესაიდუმლეს.

სხვიტორში და მის მახლობელ სოფლებში მრავალი გლეხია აკაკის ახლობელი, პოეტის ოჯახში გაზრდილი, ზოგი მათგანი ასი წლისაც არის. სავანეში პოეტთან ერთად შეზრდილი აბელ სადუნიშვილი 104 წლის მოხუცი, ხუთი წლით უფროსია აკაკიზე, მაგრამ ეხლაც ნათლად იხსენიებს პატარა აკაკისთან გატარებულ დღეებს.

გლეხების მოგონებებში აკაკი მოსჩანს მთელი თავისი ადამიანური კეთილშობილებით და პოეტური სიდიადით. როცა აკაკი სხვიტორში ჩამოვიდოდა უწინარეს ყოვლისა გლეხებს დაიბარებდა. აკაკი, რომელსაც მუდამ ჰქონდა სარკაზმის შხამი მზად თავადების წინააღმდეგ, გლეხებთან თითქოს ხელახლად იბადებოდა, იგი მათთან ხდებოდა გულთამხილავი, ბავშვივით უშუალო და უბრალო, თითქოს მისთვის სოფლის ბიჭებთან გატარებული ბავშვობის დღეები თენდებოდა. აი—აკაკის ახლობელი გლეხი ხოჯანა სარალიძე, წელთა სიმძიმით ოთხად მოხრილი, იგი გვიამბობს თუ როგორ უყვარდა პოეტს ხალხი, როგორ არიგებდა და ეხმარებოდა გლეხებს, „აკაკი სოფელში რომ გამოჩნდებოდა ჩვენ სინათლე გვემატებოდა თვალში"-ო,—ამბობს ხოჯანა.

საინტერესო ამბებს გადმოგვცემს აკაკის რძალი მარიამ წერეთელი, რომელიც 84 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგათ გამოიყურება: „აკაკი, რომ მოვიდოდა სოფელში, გვიამბობს მარიამ წერეთელი, ჩვენს გლეხებს ან ხანჯალს მოუტანდა, ან სხვა რამე საჩუქარს. შეუთვლიდა მნახეთო! ძალიან უყვარდა კიკოლა კალმახელიძე, ბერია ჭილაძე, ივანიკა კალმახელიძე, ფასია შავაძე, გლახუკი აბრამიშვილი". როგორც ირკვევა ზემოხსენებულ კიკოლა კალმახელიძის გადმოცემაზე ააგო აკაკიმ თავისი მშვენიერი პოემა „კიკოლას ნაამბობი".

თავის შესანიშნავ პოემას „თორნიკე ერისთავს" აკაკი სამი თვე სწერდა სხვიტორში. მოგონებებში აღბეჭდილია შემოქმედებითი მუშაობის საინტერესო მომენტები. საგულისხმო ცნობებია იმის შესახებ თუ როგორ კრეფდა აკაკი ფოლკლორულ მასალებს. ექსპედიციამ შეისწავლა დიდი პოეტის ბიოგრაფიის მრავალი მხარე, ყურადღება მიაქცია ყოფით დეტალებსაც, პოეტის ხასიათსა და ჩვევებს და აღადგინა აკაკის სოციალური გარემოს სურათი.

ჩვენ შევკრიბეთ საინტერესო მასალები აკაკის ძიძის მანო სადუნიშვილის შესახებ. ექსპედიციის მასალების მიხედვით პირველად შედის აკაკის ბიოგრაფიაში მისი რომანი გლეხის ქალთან.

მნიშვნელოვანი მასალები მოგვაწოდა ანა აბდუშელიშვილმა, რომელმაც აკაკის სიკვდილის დღესვე გადაწყვიტა დაეცვა დიდი ქართველი პოეტის სახლი და მის სახელთან დაკავშირებული მემორიალური ნივთები. დღეს ანა აბდუშელიშვილი აკაკის სახლის გამგეა. პარტიამ და ხელისუფლებამ აკაკი წერეთლის სახლი და სხვა რელიკვიები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძეგლად გამოაცხადა. პოეტის იუბილესთან დაკავშირებით ეს სახლი უნდა გადაიქცეს აკაკის მუზეუმად.

ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალის მიხედვით მთელი რიგი საკითხები აკაკი წერეთლის ბიოგრაფიისა სრულიად ახალ გაშუქებას ღებულობენ. ასე მაგალითად: აკაკის დედ-მამის შესახებ გლეხების ნაამბობი, მთელი რიგი ახალი ფაქტები, ცვლიან ჩვენ შეხედულებას აკაკის მშობლებზე.

ექსპედიციამ შეიმუშავა აკაკის სახლის და მის სახელთან დაკავშირებული რელიკვიების რესტავრაციის გეგმა. მოხუცმა გლეხებმა ჩვენ დაწვრილებით გაგვაცნეს როსტომ წერეთლის დროინდელი სხვიტორი.

დღეს სხვიტორი ცხოვრობს სოციალისტურ ცხოვრებით. ყოველივე მოწინავე ამ სოფელში აკაკის სახელს ატარებს. კოლმეურნეობა, სკოლა, ბიბლიოთეკა, პიონერთა ბანაკი, თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ გაამართლონ დიდებული პოეტის სახელი.

შეიძლება ითქვას, რომ სხვიტორში აკაკის სიმღერებით და ლექსებით ღამდება და თენდება.

გიორგი აბზიანიძე

აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შემსწავლელი ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ს. მთვარაძის პიესა „ძეგლი"

დრამატურგმა ს. მთვარაძემ დასწერა დრამა „ძეგლი", რომელიც განხილული იქნა მწერალთა კავშირის დრამსექციაში.

სქემატურად პიესის შინაარსი ასეთია: ბექანს სურს, რომ მისი სახელი მომავალ საუკუნეებს დარჩეს. ამისათვის იგი ირჩევს ყალბ გზას. თვითონ იდგამს ძეგლს მთის ფერდობზე. შორიდან მოსჩანს ლამაზი ქანდაკება და ვინ გაივლის გორაკის ახლოს, რომ ძეგლთან არ მივიდეს, მარმარილოს ლამაზი ქანდაკება არ ნახოს, ზედ ამოკვეთილი ბექანის ვინაობა არ წაიკითხოს. მაგრამ ძეგლს ცუდი ბედი იწვია. ომი იყო, როცა ძეგლი დაიდგა ბექანმა. მტრის შემთხვევითმა ყუმბარამ დაამსხვრია ქანდაკება. ერთ დღესაც ვერ გასძლო ბექანის ძეგლმა.

ბექანის ძმა ბაადაური კი არ სცდილობდა ძეგლის დადგმას: იგი მუშაობდა, იღვწოდა, როგორც საბჭოთა მოქალაქეს შეჰფერის. ომის დროს დიდი გმირობა ჩაიდინა. საბჭოთა მთავრობამ იგი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით და **ლენინის** ორდენით დააჯილდოვა და რაიონს, სადაც ის სცხოვრობდა, ბაადაურის სახელი უწოდა. ასე მოიპოვა ხელთუქმნელი ძეგლი ბაადაურმა. ბექანი კი დარჩა ქანდაკების ნამსხვრევებით ხელში.

პიესის განხილვისას თავიანთი აზრი გამოსთქვეს შ. დადიანმა, პლ. კეძელავამ, რ. ქორქიამ, გრ. ნუცუბიძემ, შ. ლონდაძემ, ბ. ჟღენტმა. მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ პიესა ს. მთვარაძის შემოქმედებაში წინსვლაა, დრამატურგი ეძებს ახალ გზებს, იგი მიზნად ისახავს შექმნას პრობლემური დრამა. ორატორებმა ისიც აღნიშნეს, რომ ავტორმა ჯერ კიდევ უნდა იმუშაოს პიესაზე. ბექანი უნდა დაუახლოვოს სინამდვილეს, გახადოს უფრო დამაჯერებელი, უნდა გააძლიეროს ქალების როლები. ბაადაურის მიერ გმირობის ჩადენის სცენაც უნდა გადამუშავდეს დრამატურგიულად, უნდა ამაღლდეს მოსახლეობის საბრძოლო განწყობილება ომის დროს და სხვა.

პიესა დაწერილია ცოცხალი ლიტერატურული ენით, კარგად არის გამოყენებული ხალხური ფიგურალური გამოთქმები, შედარებები. განხილვის მონაწილეთა საერთო აზრია, რომ ს. მთვარაძის „ძეგლს", საჭირო შესწორებების შემდეგ, ჩვენი საზოგადოებრიობა ინტერესით მიიღებს.

ახალი წიგნები

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მესამე ტომი

სახელგამს გამოსაცემად გადაეცა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მესამე ტომი.

მესამე ტომში მოთავსებულია პოეტის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე დაწერილი ლექსები. წიგნი შესდგება შემდეგი განყოფილებებისაგან: სიმღერები სამშობლოზე, ძველი მოტივებიდან და ევროპაში.

ალ. ყაზბეგის ორი მოთხრობა რუსულად

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ „ქართული მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკის" სერიიდან გამოსცა ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები „ელბერდი" და „ციკო". მოთხრობები თარგმნილია მ. კახიძის მიერ. წიგნი შეიცავს 136 გვერდს და ღირს 1 მან. და 10 კაპ.

„სტუმარი"

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ლადო ბალიაურის მოთხრობა „სტუმარი". წიგნი შეიცავს 40 გვერდს და ღირს 1 მან. და 50 კაპ.

„დელი მურადი"

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა პარმენ ლორიას ახალი რომანი „დელი მურადი".

„ცელქები"

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ცქვიტის (ანა ხახუტაშვილის) საბავშვო ლექსები „ცელქები".

წიგნი დასურათებულია მხატვარ პეტროვას მიერ.

„მნათობი" № 7

დაიბეჭდა და გამოვიდა „მნათობი" № 7. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა: მხატვრული ლიტერატურა: აკაკი წერეთელი—ბორჯომში (ლექსი), ალ. ქუთათელი—საავადმყოფოში, ვ. ბარნოვი—თეთრი გვირგვინი, ლადო ასათიანი—ორი ლექსი, კ. ხიმშიაშვილი—გაზაფხულის უცნაურობა, დავით სასუნცი—(თარგ. ირ. აბაშიძისა), დავით სასუნცი—(თარგ. ი. მოსაშვილისა), მარიამ გარიყული—ერთი ღამის ამბავი, კრიტიკა, მეცნიერება და ფილოსოფია: აკ. გაწერელია—პროზაიკოსის გზა, ალ. ღლონტი—ნ. მარი და ახალი ენათმეცნიერება. დავ. შამათავა—თედო რაზიკაშვილი, ბიბლიოგრაფია: ევგენი ონეგინი—რომანი ლექსად ა. ს. პუშკინისა, თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა.

„ჩვენი თაობა" № 8

დაიბეჭდა და გამოვიდა „ჩვენი თაობა" № 8

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა: მხატვრული ლიტერატურა: გრიგოლ აბაშიძე—გაზაფხული სტუდენტთა ქალაქში, გაბრიელ ჯაბუშანური—იალალი, ანდრო თევზაძე—ეთერს, ვლადიმერ უბილავა—ლელვას ბობოქარს, მირზა გელოვანი—ფანდური, კლიმენტი გოგიავა—სიყვარული სიხარულია, „დავით სასუნცი"— ნაწყვეტები (თარგმანები ირ. აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანისა და ილო მოსაშვილის), ია ჩხეიძე—ცაცანას ქორწინება, სუინბერნი—დედოფალთა ლანდები (თარგმანი ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძისა); კრიტიკა: ე. ასტვაცატუროვი—ლეო ქიაჩელი; ბიბლიოგრაფია: გ. მებუკე—ი. გრიშაშვილი, „ახალი ლექსები", „საბავშვო ლექსები".

საკავშირო კონკურსი საუკეთესო პიესაზე

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი 1940 წელში ატარებს საკავშირო კონკურსს საუკეთესო პიესაზე. კონკურსის ძირითადი მიზანია: აამაღლოს საბჭოთა დრამატურგიის ხარისხი და გააუმჯობესოს თეატრების რეპერტუარი, წამოსწიოს ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორები და შექმნას პიესები, რომლებიც ასახავენ სსრ კავშირში კომუნისტურ საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლას.

კონკურსი ღიაა და შესდგება ორი ტურისაგან. მწერალთა გარდა მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს.

კონკურსზე მიიღება ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებები ყველა თემაზე და ყველა ჟანრისა (დრამა, კომედია, ვოდევილი და სხვ.), რომელიც დაწერილი იქნება საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთერთ ენაზე.

საუკეთესო პიესაზე დაწესებულია ექვსი პრემია: პირველი—50.000 მანეთი, მეორე (ორი) 25.000 მანეთი თვითეული, სამი მესამე პრემია—თვითეული 15.000 მანეთი. იმ ავტორებს, რომელთა პიესები არ იქნებიან პრემირებული, მაგრამ მათი გამოცემა და სცენაზე დადგმა შეიძლება, სსრ კავშირთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი ჟიურის წარდგენის საფუძველზე მისცემს წასახალისებელ ჯილდოს თვითეულს 5.000 მანეთის რაოდენობით.

ალი არსენიშვილი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი-კრიტიკოსი ალი არსენიშვილი. ვიდრე ლოგინად ჩავარდებოდა, იგი ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო.

ალი არსენიშვილი დაიბადა 1892 წელს სოფ. დაბაძველში (ტყიბულის რაიონი), მოსამსახურის ოჯახში. იგი სწავლობდა ჯერ ქუთაისის და შემდეგ ბაქოს გიმნაზიებში. 1909 წელს დაამთავრა რა საშუალო სასწავლებელი, შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც 1913 წელს ამთავრებს, სტუდენტობის დროს იგი დაუახლოვდა ცნობილ რუს მწერლებს, მათ შორის, სახელგანთქმულ რუს სიმბოლისტ პოეტს ალექსანდრე ბლოკს, რომელთანაც ალი არსენიშვილს ჰქონდა მიწერ-მოწერა ლიტერატურის საკითხებზე.

1913 წლიდანვე ალი არსენიშვილი იწყებს თანამშრომლობას ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ათავსებს წერილებს მხატვრული მწერლობის და ხელოვნების საკითხებზე. თავიდანვე ალი არსენიშვილი, როგორც მხატვრული ლიტერატურის კრიტიკოსი და ესთეტიკოსი, სიმბოლისტური სკოლის, განსაკუთრებით, რუსი სიმბოლისტების გავლენის ქვეშ მოექცა, ხოლო როცა საქართველოში ჩამოყალიბდა „ცისფერყანწელთა" ჯგუფი, იგი მიემხრო მათ და თავის საჯარო გამოსვლებში (უმთავრესად დისპუტებზე და დისკუსიებზე) იზიარებდა და იცავდა „ცისფერყანწელთა" ლიტერატურულ პრაქტიკას.

სოციალიზმის წარმატებებმა ალი არსენიშვილი გამოიყვანეს ამ იდეოლოგიურ-პოლიტიკური ჩიხიდან, რომელშიაც „ცისფერყანწელთა" ჯგუფი მოექცა. ალი არსენიშვილი ერთი იმ ყოფილ „ყანწელთაგანი" იყო, რომელმაც ჩამოშორების შემდეგ გაბედულად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. 1928-29 წლიდან მთელი რიგი დისკუსიების დროს მან ცხადჰყო „ცისფერყანწების", როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის ბურჟუაზიული ბუნება, რეაქციული ხასიათი.

ამ დროიდან განსვენებული უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყოველდღიურ პრესაში, საერთოდ, პერიოდულ გამოცემებში, აქვეყნებდა საგულისხმო წერილებს, როგორც თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაზე, ისე ქართულ და რუსულ კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. მას ეკუთვნის აგრეთვე სტატიები ქართულ მხატვრობაზე. ამ წერილებმა გვიჩვენეს მათი ავტორის ღრმა ერუდიცია ლიტერატურის და ესთეტიკის საკითხებში, ფაქიზი გემოვნება და სწორი მხატვრული ალღო. მეტ წილად ალი არსენიშვილის მიერ მოცემული ლიტერატურული მოვლენების შეფასება იყო ღრმად პრინციპული, მიუდგომელი, სწორი და სამართლიანი.

ალი არსენიშვილის სახით ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ დაჰკარგა მეტად საჭირო და სასარგებლო წევრი, რომელსაც განუხორციელებელი დარჩა ბევრი საინტერესო შემოქმედებითი განზრახვა.

ა. მ. კალიუჟნი

7 ნოემბერს თბილისში გარდაიცვალა ალექსანდრე მეთოდეს-ძე კალიუჟნი. 86 წლის მოხუცს, ყოფილ პოლიტკატორღელს იცნობდა მთელი ჩვენი დიდი სამშობლო—საბჭოთა კავშირი, რადგან მისი სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა დიდი პროლეტარული მწერლის **მაქსიმ გორკის** შემოქმედებითს ბიოგრაფიას.

ალექსი მაქსიმეს-ძემ თავისი პირველი სამწერლო ნაბიჯი გადასდგა კალიუჟნის რჩევით და დახმარებით. ცხოვრობდა რა მასთან, ახალგაზრდა ალექსი პეშკოვმა უამბო მას ერთი რომანტიული ამბავი. კალიუჟნიმ ურჩია შესანიშნავ მთხრობელს ალექსი პეშკოვს, ქაღალდზე გადაეტანა თავისი ნაამბობი. ალექსი მაქსიმეს ძე ასეც მოიქცა. მან დასწერა მოთხრობა „მაკარ ჩუდრა" და მაქსიმ გორკის ხელმოწერით 1892 წელს მიიტანა გაზეთ „კავკაზში", სადაც იგი დაიბეჭდა კიდეც. აქედან იწყება მაქსიმ გორკის დიდი შემოქმედებითი გზა და აგრეთვე მისი მეგობრობაც კალიუჟნისთან.

მაქსიმ გორკის მუდამ ახსოვდა ის ამაგი, რომელიც კალიუჟნიმ დასდო მას. 1901 წელს გორკი სწერდა კალიუჟნის: „დღეს შესრულდა ცხრა წელიწადი მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა. ეს მოხდა თქვენის მეოხებით, ალექსანდრე მეთოდის-ძევ. მაგრა გართმევთ ხელს, ძვირფასო მასწავლებელო!" 1925 წელს, როცა ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველომ და მისმა თანამშრომლებმა აღნიშნეს რკინიგზაზე კალიუჟნის მუშაობის 35 წლისთავი, გორკიმ მას გამოუგზავნა მისალმება, სადაც იგი სწერდა: „თქვენ იყავით პირველი ადამიანი, რომელიც მე ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობით მომეპყრა". მაქსიმ გორკის შემდეგ წლებშიაც არ შეუწყვეტია მეგობრული ურთიერთობა თავის პირველ მასწავლებელთან. დიდი პროლეტარული მწერლის ბიოგრაფი და მისი შემოქმედების დამფასებელი დიდი მადლობის გრძნობით მოიგონებს ა. მ. კალიუჟნის, რომელმაც ჭაბუკ ალექსი პეშკოვს დიდი სამწერლო ნაბიჯის გადადგმა გააბედინა.

ა. მ. კალიუჟნი დაიბადა 1853 წელს პოლტავაში, უკრაინულ ოჯახში. ახალგაზრდობიდანვე იგი ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. ფარული საზოგადოების წევრობისათვის გასული საუკუნის 90-იან წლებში მეფის ხელისუფლებამ იგი გაგზავნა საკატორღო სამუშაოებზე არხანგელსკის გუბერნიაში, ხოლო იქიდან კარის რაიონის კატორღაში. საკატორღო სასჯელის მოხდის შემდეგ კალიუჟნის ნება არ მისცეს უკრაინაში დაბრუნებულიყო და გადმოასახლეს ამიერ-კავკასიაში. 1890 წლიდან კალიუჟნი ცხოვრობდა თბილისში და მსახურებდა ამიერ-კავკასიის რკინიგზების სამმართველოში. მას ახლო ურთიერთობა ჰქონია არა მარტო თბილისის, საქართველოს, არამედ მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივობასთან. გორკის საშუალებით კალიუჟნი დაუახლოვდა და დაუმეგობრდა მაშინდელი რუსეთის ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს,—მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს. გორკის გარდა, მას განსაკუთრებით ახლო მეგობრობა ჰქონდა ანტონ ჩეხოვთან და მხატვარ ვიქტორ ვასნეცოვთან. ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა კალიუჟნის მიწერ-მოწერა დიდი რუსი ხალხის ამ სახელოვან შვილებთან. კალიუჟნისადმი გორკის და ჩეხოვის მიერ მიწერილი ბარათები ფრიად საგულისხმო ცნობებს შეიცავენ ამ ორი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი მომენტების გასარკვევად. ზოგი ამ წერილთაგანი უკვე იყო გამოქვეყნებული, მაგრამ მეტწილად ეს მიწერ-მოწერა ცნობილი არ არის ფართო საზოგადოებისათვის.

მთელი თავისი არქივი, რომელიც ესოდენ ძვირფას მიწერ-მოწერას შეიცავს, ა. მ. კალიუჟნიმ დაუტოვა საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს.

განსვენებული ალექსანდრე კალიუჟნი დაკრძალეს თბილისში, 12 ნოემბერს, კუკიის სასაფლაოზე.

„ლელოს" საჯარო განხილვა დიდ-ჯიხაიშში

23 ოქტომბერს სოფელ დიდი-ჯიხაიშში (სამტრედიის რაიონი) ადგილობრივმა ბიბლიოთეკა-სამკითხველომ თავის მკითხველთა შორის მოაწყო ალ. ქეიშვილის რომანის „ლელოს" საჯარო განხილვა. ლიტერატურული საღამო, რომელსაც ასზე მეტი მკითხველი დაესწრო, შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა გ. კაჭახიძემ. მოხსენებით „ლელოს" შესახებ გამოვიდა მასწავლებელი ა. დევიძე. მომხსენებელი „ლელოს" შეეხო როგორც საკოლმეურნეო და საყოფაცხოვრებო თემაზე დაწერილ ნაწარმოებს. მომხსენებლის სიტყვით, ჩვენი საკოლმეურნეო სოფელი დეტალების ღრმა ცოდნით არის მოცემული ამ რომანში. რომანის გმირთა ხასიათები და მოქმედებანი ტიპიურია და მწერლის მიერ მოცემულია დამაჯერებლად, რეალისტური ფერებით. ქალ-ვაჟთა სიყვარული, რომლის ქარგაზედაც არის აგებული ნაწარმოები, დინამიურად ვითარდება. ქიშვარდის, ბონდოსა და ციცინოს ურთიერთობა ბევრი მოულოდნელობის შემცველია, რაც აძაფრებს მკითხველის ინტერესს. მომხსენებელმა ერთგვარი პარალელი გაავლო ეგ. ნინოშვილის მოთხრობების გმირებსა და „ლელოს" გმირთა შორის და „ლელოს" ზოგიერთი გმირი ეგ. ნინოშვილის გმირთა შორეულ მემკვიდრედ აღიარა, რასაკვირველია სხვა სახითა და სხვა გარემოებაში. მომხსენებელმა აღნიშნა რომანის ნაკლიც. მაგალითად, ზოგიერთი ადგილის მასალით გადატვირთვა, გურული კილოკავების სიჭარბე, გაჭიანურებული თხრობა და სხვ.

მოხსენებამ ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. კამათში გამოსული მკითხველები არჩევდენ რომანის ნაკლსა და დადებით მხარეებს. ისინი ერთხმად აღიარებდნენ „ლელოს" ლიტერატურულსა და აღმზრდელობითი მნიშვნელობას, მაგრამ მათი უმრავლესობა რომანის სუსტ მხარეებზედაც მიუთითებდა.

პასუხისმგებელი რედაქტორი შ. რადიანი.

ვინ არის „ნარგიზოვანის" ავტორი?

(დასასრული)

უფრო მკაცრად ებრძოდა ამ პოეზიას არჩილ მეფე. არჩილი მწერლად არა სთვლიდა იმას, ვინც რუსთაველს ვერ მიჰბაძავდა: „ვინც ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გადმობრძანდეს ასე აქეთ"[1]—ამბობს ის. ამიტომ საკვირველი არაა შემდეგი მისი სიტყვები:

სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ: არც ბააკა დვალიძესა,
არც დათუნა ქვარიანს; შოთას რად ვერ წაბაძესა?[2]).

არჩილს არ უნდა ბააკა დვალიძე და დათუნა ქვარიანი მწერალთა რიცხვში მოეხსენიოს, რადგან მათ „შოთას ვერ წაბაძეს". რა მხრივ „ვერ წაბაძეს"? იმას ხომ არ გულისხმობს არჩილი, რომ ბააკამ და დათუნამ ისე კარგად ვერ დასწერეს, როგორც შოთამ? განა სხვა პოეტებმა, რომელთაც ის ჩამოგვითვლის, ყველამ ისე კარგად დასწერა და „თქუა", როგორც შოთამ? არა, რასაკვირველია. არჩილს უნდა სთქვას, რომ ბააკა და დათუნა არ სწერდნენ იმ ნორმით, რომელიც დაკანონებული იყო რუსთაველის მიერ. ჩვენ, სამწუხაროდ, არა გვაქვს ცნობები ბააკასა და დათუნას შესახებ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ყოფილან ხალხური პოეტები, წარმომადგენელნი „ნარგიზოვანისებური" პოეზიისა. მართლაც, თუ ზ. ჭიჭინაძეს დაეჯერება, ბააკა დვალიძეს ან დვალიშვილს, რომელიც 1635 წლის მახლობლად მოღვაწეობდა, მეტწილად სულ სახალხო ლექსები უწერია. მას ეკუთვნებინ, სხვათა შორის „ცხენის ლექსის დაწერასი[3]).

ასეთი სიმკაცრე არჩილს თვით გარსევან ჩოლოყაშვილის შეფასებაშიაც გამოუჩენია, გარსევანის ლიტერატურულ საქმიანობას ის მედიდურად დაჰყურებს, გარსევანს რალაცაები („რამე-რაები") უწერიაო, ამბობს ის „რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასების" შესავალში. ის სხვა ადგილასაც ეხება გარსევანს:

მადლი რა გკადრო, თუცაღა გარსევანს ცჳხობდე ან ბარძიმს?
ჩოლოყაშვილს და ვაჩნაძეს რადგან მადარებ არ მიმძიმს;
ერთს კოჩივარდას მქებარსა მეორე აქებს,—მაშ თუ ღიმს,—

ათქმევინებს ის რუსთაველს თეიმურაზისათვის[4]). „კოჩივარდას მქებარად" არჩილი გარსევანს გულისხმობს, ხოლო „კოჩივარდად" იმ ყვავილოვან მცენარეთ, რომელთა შესახებ გარსევანი „ხილთა ქებაში" ლაპარაკობს. „კოჩივარდა", როგორც ყვავილი, არჩილს დაბალი ღირსების ყვავილად მიაჩნია. ერთ ადგილას ის ამბობს: „სად ედრება დანძილი და კოჩივარდა ყარამფილსა?"[1]). ამისდა მიხედვით, „ხილთა ქება" გარსევანისა მას „კოჩივარდობად", დაბალი ღირსების ნაწარმოებად მიუჩნევია, თუმცა ის რუსთაველური შაირით, შოთას მიბაძვით არის დაწერილი. იგულისხმება, რომ არჩილს მისი შინაარსი, სიუჟეტი, თემა არ აკმაყოფილებდა მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს,—ამბობს არჩილი, — გარსევანის ეს თხზულება მაინც სჯობს („ესევე სჯობს") მის სხვა „მონახსენებს" ან თხზულებას, რომელიც მას „სმენია" ან გაუგონია; იგულისხმება „ნარგიზოვანი":

ესევე სჯობს, რაც მასმია მისგან მონახსენებია:
„გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია".

მაშასადამე, „ნარგიზოვანს" არჩილი უფრო დაბლა აყენებს, ვიდრე კოჩივარდობას — „ხილთა ქებას", რასაკვირველია, იმიტომ, რომ იმაში უფრო მეტადაა ოფიციალური ლიტერატურის მიერ დაგმობილი ელემენტები ახალი პოეზიისა.

„ნარგიზოვანი" თერთმეტი ლექსისაგან შესდგება, მაგრამ არის საბუთი ვიფიქროთ, რომ დღესდღეობით ცნობილ კრებულებში არ შემონახულა ყველა ლექსი გარსევანისა. ამას გვაფიქრებინებს, პირველ ყოვლისა, არჩილის ციტაცია: „გული კვდება ნარგისთათვის თვალნი გაუშტერებია". „არჩილიანის" ლენინგრადისეულ ხელნაწერში № 22, რომელიც გადაწერილია 1705 წელს ავტორის ბრძანებით დაუთ თურქისტანიშვილის მიერ, მოყვანილი სტრიქონის პირდაპირ წითურით შენიშნული ყოფილა: „ეს ბოლოს ერთი სტრიქონი გარსევანის (ჩოლოყაშვილის) ნათქვამია, არ მამიპარავს, მაგრამ სიტყვამ მოახდინა"[2]). მაშასადამე, არჩილი თვითონ ადასტურებს, რომ ეს სტრიქონი ამოღებულია მის მიერ, როგორც ციტატა, გარსევანის თხზულებიდან. ეს თხზულება არის, რასაკვირველია, „ნარგიზოვანი". ამას ადასტურებს, ერთის მხრით, სიტყვა „ნარგისთათვის", მეორეს მხრით მოყვანილი სტრიქონის სიტყვები: ა) „გული კვდება"; „ნარგიზოვანში" „დამწვარი გული" (1 ლექსი), „გული ლებული" (4 ლექსი), „მოდებული ალი" (8 ლექსი), „დამრიტე ცეცხლი" (3 ლექსი) ჩვეულებრივი მოტივია; ბ) „თვალნი გაუშტერებია"; ამისი შესატყვისია „ნარგიზოვანში": „მიმრიდა თვალი ნათელი, მეწია გულსა ბნელია" (7 ლექსი), „რა ქნას თვალმან ბნელმან", „მოშეკიდა თვალთა ბინდი" (10 ლექსი). ასეთ სტრიქონსა და სიტყვებს დღეს ცნობილ „ნარგიზოვანში" ვერ ვპოულობთ, მაშასადამე, იყო ოდესღაც გარსევანის კრებულში ისეთი ლექსი, საიდანაც ამოღებულია მოყვანილი ციტატა.

მეორე: გარსევან ჩოლოყაშვილის ლექსთა იმ კრებულში, რომელიც ზ. ჭიჭინაძეს ჰქონია ხელთ, მოთავსებული ყოფილა, „ხილთა ქების" გარდა „სხვა ლექსებიცა მრავალი"[1]), რომელთაგან ერთი თურმე ასე ბოლოვდებოდა:

თვალთაგან ცრემლისმღვრელია მარადის გარსევანიო,
ზემოდ ნათქვამსა ამბებსა ვერ მოსთქვამს აწ ენანიო.

„სხვა მრავალი ლექსები" გარსევანისა, რომელთა ნაწილმა ზ. ჭიჭინაძის დრომდეც მოაღწია, როგორც თვითონ ამბობს, არის, ეჭვს გარეშე, „ნარგიზოვანის" ლექსები; მაგრამ იმათში დღეს ვერ ვპოულობთ იმგვარად დაბოლოვებულ ლექსს, როგორიც მოყვანილია. მართალია, ზ. ჭიჭინაძის ცნობები დიდი სიფრთხილითაა გამოსაყენებელი, ისინი ხშირად გაუგებრობის შედეგია, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვით, რადგან მას პირდაპირ ლექსიდან მოჰყავს ისეთი ციტატა — „თვალთაგან ცრემლის მღვრელია მარადის გარსევანიო", რომელიც პარალელურია „ნარგიზოვანის" სხვა ლექსების შემდეგი სიტყვებისა: „ნუ თურე მაშინ დამიშრეს თვალთაგან ნაწანწკარები" (5 ლექსი), „სევდით ვტირ შეპირვებული, ცრემლით ვარ ხშირად მრწყველია" (7 ლექსი).

დღეს დღეობით ცნობილ თერთმეტ ლექსიდან ათი არის წმინდა სატრფიალო სამიჯნურო ხასიათისა, ხოლო ერთი — „ქართლი შვენიერია" (8 ლექსი), რომელშიაც შექებულნი არიან ქართლი და ქართველები, პატრიოტულია. ავტორს სამშობლო ქვეყანაც სატრფოდა ჰყავს წარმოდგენილი, რამდენადაც ამ ლექსს ასე იწყებს:

გტრფიალებ მზეო, თუ შენკენ მზეო,
ერთხელ მისმინე, ორჯელ სამმზეო!

აქ ჩვენ ჩანასახი გვაქვს იმ პატრიოტული ალეგორიისა, რომელიც შემდეგ გამშვენებულადაა წარმოდგენილი ვახტანგის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილისა და სხვათა შემოქმედებაში.

ფორმის მხრივაც მეტად საყურადღებოა „ნარგიზოვანი". იქ ტრადიციულ 16-მარცვლოვან შაირთან ერთად (4, 5, 6, 7 ლექსი) მოცემულია 7, 8, 10, 11, 12, 13 და 15-მარცვლოვანი ტაეპებიც. ამასთან ერთად ყურადღებას იქცევს რითმათა სიმდიდრე და რიტმის ნაირ-ნაირობა. მაგრამ ყველაზე მეტად გვხვდება თვალში რეფრენები, რომლებიც ჭარბადაა გამოყენებული (1, 2 ნაწილობრივ 3, 7 8, 10 ლექსი).

მეორე ცნობილი ნაწარმოები გარსევანისა არის „ხილთა ქება", რომელსაც არჩილი შემდეგს სიტყვებში გულისხმობს: „კიტრი ხილად რაღას ვარგა, ვაშლი მოვა რაე, ბია?" ეს თხზულება[1]) იწყება ასე:

უყურეთ ხილთა ქცევასა, რისა ამბისა მთქმელია:
ფერ-შვენიერი, ძირ-წვრილი ცოტაი: ხანს მდგომელია,
უხუცესი და პირველი მარწყვი მიწას მდგომელია,
სხვას ხილსა ასრე მოუსწრობს, ვით რომ შუბ-განმწოენელია.

აქ ჩამოთვლილია 23 სახელწოდების ხილი: მარწყვი, ტყემალი, ბალი, ჟოლი, თხილი, ქლიავი, მაყვალი, კიტრი, ნესვი, ატამი, საზამთრო, ვაშლი, ნიგოზი, ნუში, ბროწეული, შინდი, მსხალი, კომში, ზეთის-ხილი, თურინჯი, ლეღვი, ხურმა, წაბლი. გარსევანის ეს შრომა გაუგრძვია მე-19 საუკუნეში დავით რექტორს, რომელსაც დაუმატებია შემდეგი ხილი: ფშატი, უნაბი, ყურძენი (§ 1512, გვ. 516 № 6). თემატიურად „ხილთა ქებაც" სულ ახალ მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ ლიტერატურაში. გარსევანმა ამ თხზულებით საფუძველი ჩაუყარა ახალ ჟანრს, რომელიც მის შემდეგ პოპულარული ხდება.

ამგვარად, გარსევან ჩოლოყაშვილი მნიშვნელოვანი ფიგურაა ძველი ქართული ლირიკის ისტორიაში. მან თავისი „კოჩივარდობით" (არჩილი) და „სანადიმო, სიმღერელი, სააშიკო და სალაღობო" (რუსთაველი) ლექსით ქართული პოეზია ოფიციალური ოლიმპიური სიმაღლიდან ძირს ჩამოიყვანა და ცხოვრებას დაუახლოვა როგორც თემატიკურად, ისე ფორმითაც. მან ქართულ ლირიკაში ახალი ნაკადი შემოუშვა, ამდენად ის პიონერია ქართული პოეზიის განახლების საქმეში. მან პირველმა დაამსხვრია და შეარყია 16-მარცვლოვანი რუსთაველური შაირისა და 20-მარცვლოვანი ჩახრუხაულის ბატონობა ქართულ პოეზიაში და გზა გაუკაფა ნაირ-ნაირი მეტრის, რიტმისა და კომპოზიციის ლექსს, რომელიც მანამდე არაოფიციალური ლიტერატურის კუთვნილება იყო. მისი საქმე და წამოწყება ჯერ მორცხვად, შეიძლება ითქვას, არალეგალურად შედის ლიტერატურულ ცხოვრებაში. მას ებრძვის ტრადიცია, ოფიციალური ლიტერატურა. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგიდან კი ხდება მისი ლეგალიზაცია. ჯერ ნაწილობრივი, საბასულხან ორბელიანის მიერ, მერე მთლიანი—მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილისა და მომდევნო პოეტების შემოქმედებაში.

---

[1] „რუსთაველის და თეიმურაზის გაბაასება", სტროფ. 32, „არჩილიანი", ტ. II. ი. ბარამიძის გამოცემა.

[2] იქვე, სტროფ. 35.

[3] „ქართული მწერლობა და მწერლები მე-17 და მე-18 საუკუნეში", გვ. 37. დათუნა ქვარიანი ის დათუნა ქვარიანი ხომ არაა, რომელსაც გაულექსავს უძველესი ხელნაწერიდან წმ. გიორგის ლეგენდა და ზოგიერთი ბიბლიური ეპიზოდი? (А. Хаханов, „Очерки", I, 239)

[4] „არჩილიანი". ტომი II სტრ. 84.

[1] ლექსნი ას და ათნი „არჩილიანი", ტ. I გვ. 101, სტრ. 37.

[2] არჩილიანი, ტომი II, გვ. 133.

[1] „ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტემდე", გვ. 28-30.

[1] ანთოლოგია, II, 64-64, გამოცემა ი. ბარამიძისა.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 8—47—10.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1797.